

გვერდი
233

181

აქარისცვანი

სამხატვრო სამიუსტრაციო ჟურნალი

7860



№ 1.

იანვარი, 1926 წელი.

თ. ბათომი.

აპარისტანის ავიაქიმი.

აერთიანებს თავის რიგებში 4.000 წევრს, რომლებიც შეადგენენ 78 უჯრედს.

აქმს განყოფილებაში: ა) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, რომელიც აწყობს ახალ უჯრედებს, აძლევს მათ ინსტრუქციებს და მასალებს. ბ) საპროპაგანდა, რომელიც აწვდის უჯრედებს ჟურნალ-გაზეთებს ავიაციისა და ქიმიის დარგში, პლაკატებს, ლოზუნგებს, დიამაგნიტებს, აწყობს ლექციებს, აგიტ-გასამართლებას და საზოგადოებას უწევს იდეურ დახმარებას.

საპროპაგანდა განყოფილებაში შედის სექციები ქვე სექციებით: ა) საავიაციო-სასპორტო, რომელიც ხელს უწყობს აპარისტანში მოდელიზმის და პლანერიზმის განვითარებას; ბ) მეცნიერულ-ტექნიკური, რომელიც აკავშირებს აპარისტანის მეცნიერულ ძალებს, უწევს მათ ხელმძღვანელობას, იყენებს სასოფლო-მეურნეობის და კუსტარულ ქიმიურ მრეწველობის განვითარების საქმეში. ამ სექციას აქვს სამხედრო ქვე სექცია, რომელიც აწარმოებს უჯრედებში სისტემატიურ მეცადინეობას.

მოხალისეთა ავიაქიმ-რაზმი შესდგება 36 კ-

მფხილმოგინაობისას ავიაქიმი ეხმარება **ხოფლისმეურნეობას** და **მრეწველობას**. **მოვინაობისას** იგი აწყობს მტრისაგან თავდაცვას.

ჩაეწერეთ ახლა ავიაქიმიში!

ავიაქიმის ახალ ს-ბა.

კისაგან. სწავლობს საავიაციო და ქიმიურ ბრძოლის მეთოდებს; ასწავლის ავიაქიმის წევრებს გაზსაცვების ხმარებას, აწოდებს მათ ასეთებს და საერთოდ ეწევა ფართო მასების საზოგადოებრივ მომზადებას, რაშიც პირდაპირი მოვალეობაა აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება გლეხობას ქირანახულის შეგებაში ბრძოლაში.

სამოდლო სახელოსნო აწვდის უჯრედებს და სხვა ორგანიზაციებს ავიაქიმის კუთხეების მოსაწყობათ სეფრენ აპარატებს და მოდელებს ხელმისაწვდომ ფასებში; საბჭოთა კავშირის ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებს აწვდის ბაზუქს და ჩალამ-კალამს საავიაციო სპორტის საქირაობისათვის.

ქიმიური ლაბორატორია მოწყობილია; საუკეთესო ქიმიკოსები ასწავლიან ავიაქიმის წევრებს ქიმიის საფუძველებს და მის მნიშვნელობას.

„წითელი აპარისტანი“ — ასეთი სახელწოდებით აპარისტანის ავიაქიმმა გადასცა 1925 წლის ნოემბერში ჰაერო-პლანი ამიერ-კავკასიის წითელ ღრაშიან არმიის საჰაერო ესკადრილისას.

სურათი (1-ლ გვ.) მოთამაშებულ პირთა ვინაობა.

1. ანანია დოლიძე, ს. ხვარბეთიდან, მიწის მუშა-გლეხი. გარდაიცვალა არხანგელის გუბერნიისში. (გადაასახლეს 3 წლის ვაღით).
2. პავლე მაქსიმეხ ძე ხომერკიცი, როტშილდის ქარხნის მუშა, (გადაასახლეს 6 წლით).
3. სამსონ ოტისა ძე ხომერკიცი, მიქელ-გაბრიელიდან, სოფლის მუშა, გად. ციმბირში 6 წლით, გარდაიცვალა სახლში 1906 წ. დასნეულებით.
4. იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილი (ხტალინი), ე. კ. პ. ცეკის გენერალური მდივანი.
5. ბებურ დავითის ძე ხომერკიცი, მიქელ-გაბრიელიდან, სოფლის მუშა-გლეხი, გად. ციმბირში 6 წ. (ცოცხალია).
6. დარისპან ხუჭუა, როტშილდის ქარხნის მუშა, ს. მალაკიდან.
7. გურგენ ონისიმეს ძე გურგენიძე, ს. სუფსიდან, სოფლის მუშა, მაშინ დიდი მომუშავე—აგიტატორი და პროპაგანდისტი, გადაასახლეს 10 წ. (ცოცხალია).
8. მიხეილ ელიშუხის ძე მოქია, სოფ. ხრიალეთიდან, გადაასახლეს რუსეთში 3 წ.
9. ირაკლი გოგოს ძე მიმინოშვილი, სოფელი მუშა. სამხთოდამ, გადაასახლეს რუსეთში 9 წლით.
10. ალექსანდრე თარხანის ძე ხომერკიცი, გარდაიცვალა 1906 წ.
11. იოსებ ხოხიას ძე ზოიძე, ს. სამხთოდან, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით; დღესაც ცოცხალია, არის 90 წლის.
12. პავლე ბალანჩივაძე, გარდაიცვალა ს. ჯიხასში.
13. თენგიზ ფლენტი, ეანდარშთა სამმართველოს შიგერ მისი საქმე გადაეცა შთაგამართებელ გალიცინს, რომელმაც თავის მხრით საქმე გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრს. განთავისუფლეს როგორც მკირე წლოვანი, თავდებობის ქვეშ 1903 წლ დაძლევს.
14. პროკოფი დოლიძე, პროპაგანდისტი და აგიტატორი, ჩამოახრჩვეს ექიმ ტრიანდაფილიდის მოკვლისათვის.

15. არჩილ გურგენიძე, ს. ჩოჩხათიდან, სოფელი მუშა, გადაასახლეს ციმბირში 6 წლით.
16. მიხეილ ფვანი, ს. ხვარბეთიდან, სოფელი, გადაასახლეს ციმბირში 6 წლით.
17. სამსონ ბეჟანის ძე ცენცერაძე, ს. სამხთოდან, სოფელი მუშა, გადაასახლეს რუსეთში 6 წლით.
18. ნესტორ ილარიონის ძე კეჭეჭმაძე.
19. ილია ოქროპირის ძე კოპალიშვილი, თბილისის ცეხის მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.
20. ანტონ სტურუა, ბათუმის ქარხნის მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით. (სამტრედიელი).
21. ბესარიონ კონსტანტინეს ძე შითაიშვილი, ს. სუფსიდან, გადაასახლეს ციმბირში 6 წლით.
22. მიზარბეგ დავითის ძე გობრონიძე, ს. სამხთოდან, კრებების მოწყობი და ხაზინადარი, გადაასახლეს ციმბირში 8 წლით, ცოცხალია 72 წლისაა.
23. სევერიანე ხვიჩია, ს. მალაკიდან, ბათუმის ქარხნის მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.
24. ვარდენ მაქსიმეს ძე ჩხაიძე, მასწავლებელი, გადაასახლეს ციმბირში 10 წლით.
25. ნოე გოგის ძე ზოიძე, ს. სამხთოდან, სოფელი მუშა.
26. გიორგი ალექსანდრეს ძე ქადეიშვილი, ს. მიქელ-გაბრიელიდან სოფელი მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.
27. სტეფანე ონისიმეს ძე გურგენიძე.
28. ილიკო საკანდელიძე, ს. გორისიდან, ბათუმის ქარხნის მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.
29. გიორგი დიმიტრის ძე კაჭაბაძე, ბათუმის ქარხნის მუშა, სამტრედიელიდან, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.
30. ილია ივანეს ძე კოპალიშვილი.
31. სოლომონ დათას ძე ხომერკიცი, ს. მიქელ-გაბრიელიდან, გად. 6 წ. ციმბირში. დასნეულდა და სახლში გარდაიცვალა.

ერთი გვერდი	100 მან.
ნახევარი გვერდი	50 მან.
მეოთხედი გვერდი	30 მან.
მასალები და ფულები გამოგზავნილ უნდა იქნას შემდეგი მისამართით:	
ბათომი, ქართული შეს. № 16. გრ. ნუცუბიძეს.	

აჭარისტანი

№ 1

სამხატვრო-საილიუსტრაციო ჟურნალი.

იანვარი, 1926 წ.

1905 წლის მებრძოლნი.



1905 წელს ჩვენში წინ უძღოდა ხანგრძლივი სერიოზული მუშაობა ხალხში, რომელსაც აწარმოებდნენ ჩვენი საუკეთესო მუშაკები. ბევრი მათგანი მხვედრბლათ შეეწირა რევოლიუციას, ბევრი ეხლაც სათავეში უდგია გამარჯვებულ მუშათა კლასს. 1905 წლის მებრძოლთა ერთი ჯგუფის სურათს აქვე ვათავსებთ. სურათი გადაღებულია ქუთაისის საგუბერნიო ციხეში 1905 წელს, აგვისტოში.

ყოფილ კატივართ.

(თენგიზ ჟღენტს).

თქვენთვის არ იყო მზე, — განთიადი...
 ფიქრს გიკაგებდათ ფანჯრის რკინები
 და თავზედ გადგათ როგორც წყვდიადი:
 ურდული. ჯაკვი და ბორკილები.
 თქვენი სამყარო იყო კედლების
 პატარა ლანდი, პატარა სივრცე!..
 მაგრამ გჯეროდათ რომ სდარაჯობდით
 მას ვის ალუთქვით, ვისაც შეჭფიცეთ.
 თქვენში ბუდობდა შურის ძიება
 თქვენ არ იცოდით შიში და ძრწოლა;
 როგორც გრიგალი გენატრებოდათ —
 შეუპოვარი მედგარი ბრძოლა.
 კიდეც დასძლიეთ, კიდეც გარეკეთ
 ღრუბლები შავი, ღრუბლები თაღნი,
 და დღეს ამიტომ მადლობას გიძღვნით,
 გეამბორებთ მშრომელი ხალხი.

აკარელი.

წარსულის ნანგრევებზე.

II. ტანჯვის ბარძიმი¹⁾.

1.

რევოლუცია სასტიკია, დაუზოგველი. ვით ქარიშხალი დაერყვა იგი შეკოწიწებულ „მშვიდობიანობას“. „ბედნიერებას“, „წესრიგს“, ყველაფერს აურევს, ასწეწავს. წყნარი ყვავილნარი, პოეტურ ოცნებათა სამეფო იქცევა პარტახად, უღაბნით. ნგრევა საშინელი და სისხლი, ხშირათ უბანკო, მსხვერპლი და განწირვა, ნგრევა, ნგრევა და ნგრევა - ასეთია მოსვლა რევოლუციის, ასეთია პირველი ქარიშხალი, რომელიც ძირფესვიანად შეარყევს სამყაროს, რომელიც ტიკინებევით ათამაშებს ადამიანებს, მათ პაწია სურვილებს, იმედებს, ოცნებებს.

სასტიკია რევოლუცია, დაუზოგველი, და ხშირათ ისიც კი, ვინც აღფრთოვანებით ლოცულობდა მასზე, რომელიც უმღერდა მის უგულწრფელს სიყვარულით, რომელმაც თავის ღმერთში სიტყვა „სატრფო“ შესცვალა სიტყვით „რევოლუცია“, სიტყვით „თავისუფლება“, ხშირათ ისიც კი ვერ უძლებს ამ ქარიშხლის საშინელ ქროლვას. ხშირად ისიც კი, რომელსაც თავი მებრძოლათ მოქონდა, იზნიქება, წაიღვება რევოლუციის შემობერვისაკენ.

სასტიკია რევოლუცია. იგი მხოლოდ თავის განვითარების კანონებს ემორჩილება და შეუღრეკლათ მიდის წინ. დიდი გმირობაა საჭირო, რომ გაუძლო პირველ ხანას, შემოტევას, სანამ გაიმარჯვებდეს რევოლუცია, განმტკიცდებოდეს. რამდენათ სასტიკია რევოლუცია დაწყებისას, იმდენათ წყნარი და მოსიყვარულეა იგი გამარჯვების შემდეგ. ბედნიერია იგი ვინც გაუძლვს რევოლუციის ქარიშხალს.

ქართული „მებრძოლი“ ინტელიგენცია რბილ-ხორცა, სუსტ ხერხეშიანია: აღმოჩნდა, რევოლუციამ დასწვა მათი ნაზფრთება ოცნებები. გაქრა მათი ბრძოლის უნარი და ყოყინი შეიცვალა გაკვირვების ნიშნებათ.

ოქტომბერი პირველი შემთხვევა იყო კაცობრიობის ისტორიაში. მოხდა ყოველგვარი ღირებულებათა გაუქმება. ძველი მეთოდები, ძველი კერპები. ძველი ცხოვრება დაინგრა. დაინგრა ოჯახი, დაინგრა სახელმწიფო, დაინგრა საზოგადოებრივი ორგანიზმი. და ამ ნანგრევებზე უნდა აღმოცენდეს ახალი.

ისინი ვინც მუდამ ნგრევისაკენ მოუწოდებდნენ, როცა დადგენ ფაქტის წინ, როცა იხილეს წარსულის ნანგრევები— დაიბნენ. მათ სუსტ ნერვებმა ვერ აიტანა ქარიშხლის სიმძიმე. გაქრა მომავლის რწმენა, დაიფანტა იმედები. მათ წინ აღიმართა შავი აჩრდილი. საშინელი „ტანჯვის ბარძიმი“ დაესვენა მათ გულს.

ნიკიტომა რომანისტმა მიხ, ადამიშვილმა ამას „ძაღლის აშშორებული მძორი“ უწოდა, რომელიც მუდამ მკერდზე ეკიდა თეიმურაზ ხეისთაის²⁾ ყოფილ ადამიანთა ტიპიურ წარმომადგენელს. არსებითად ეს იგივე „ტანჯვის ბარძიმი“ა, რომელიც დემოკრატიულ შკოლის წარმომადგენლებს დაესვენათ გულზე.

აღსანიშნავია ერთი საინტერესო მოვლენა. „ტანჯვის ბარძიმი“ დაესვენა სახელდობრ „დემოკრატიის“ წარმომადგენლებს. ჩვენი ლიტერატურის მემარჯვენე ფრთამ, რომლისათვის რევოლუცია აშკარა სიკვდილის განაჩენი იყო, უფრო ადვილათ გადაიტანა ეს ოპერაცია. ეს არც გასაკვირია. როცა აქლემები იბრძვის, კოზაკები იტყლიტება. მერყევი, ორ სკამზე მჯდომი, გაუბედავი ელემენტები ყველაზე საშინლად განიცდიან გარდატეხის გავლენას.

როგორ მიიღეს „დემოკრატებმა“ რევოლუცია?

1918 წელში, როცა პირველი ბავშური აღფრთოვანება

¹⁾ პირველი წერილი იხ. „ლიტერატურული ტრიბუნა“ № 1.

²⁾ მ. ჯავახიშვილი. — „ჯაყოს ხიზნები“.

წავიდა და რევოლუციამ გამოაჩინა თავისი კლანჭები ხ. ვარდოშვილი სწერს:

ნუ გახვალ ვარეთ—დღეს ქარია გადარეული.
ხანხარებს მიწა და ცახცახით თრთიან ხეები;
ქარმა არ იცის შინაური და გარეული.
ქარმა დაამხო დღეს მეფეთა სასახლეები.

(„ქარში“).

მაშინ როცა მუშათა დარბაზული რიგები ბრძოლისკენ მიისწრაფოდა, როცა პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი სისხლით რწყავდა განათავისუფლებულ ქვეყნის ყოველ გოჯ მიწას, მაშინ ხ. ვარდოშვილი თავის ნაქუქში იმაღლებოდა, ვარეთ გასვლის ეშინოდა. „გადარეული ქარს“ გაურბოდა. ბრძოლის ყოყინის მაგიერ პოეტი სტირის:

სული აივსო მქანარი ივით შავი მთიები გზაზე ეცემა,
ღამე მიცქერის შურის ძიებით გამწირა ღმერთმა, გამწირა მზემა,

რევოლუციამ წარმოშვა, რეალური გახადა დიდი ხნის ოცნება: ძმობა, ერთობა, სიყვარული, სოლიდარობა. დღეს ჩვენი პირდაპირი მტრებიც არ უარყოფენ, რომ რუსეთის რევოლუციამ უდიდესი ერთობა და სოლიდარობა შექმნა მიუღებ ქვეყანაზე. დღეს „რემედასის“ უჯრედებით მოფენილია მსოფლიო და უცნობი ათას ვერსტის იქით ეხმარება უცნობს, მაგრამ ღვიძლ ძმას, თავისუფლებისათვის მებრძოლს.

პოეტი კი სტირის:

არ არის ძმობა, არც სამართალი,
არც მეგობრობა, არც სიყვარული.

(ხ. ვარდოშვილი).

უღარესი პესიმიზმი, უიმედობა, მოთქმა წარსულზე. დიკეტა ყველა გზები, გადასქენა ვარდები, ვაქრენ „მებრძოლნი“ და დარჩენ მხოლოდ „უბედური ლანდები“

უბედური ლანდო
ატირებულო ჟამის გადარევით
შენ გიყვარს ყრუ სასაფლაოთა მღვრება
ვითარცა მისანი გარდასულ სულთა.

(ხ. ვარდოშვილი).

მეტი რა დარჩენია ობლებს, რომელთაც დაკარგეს ყველაფერი, რომელთათვის რევოლუცია, განათავისუფლებისათვის ბრძოლის სტიკია „უცნობი ძალა“ (ს. აბაშელი „ცეცხლის მახვილი“). მათ ავიწყდებათ თვისი წარსული, ავიწყდებათ აღფრთოვანება და ბრძოლის სურვილი, რომელიც ერთ დროს მათში ფეთქდა. ს. აბაშელი ასე მიმართავს აკაკის:

„ერი უსმენს შენს ძველ ლოცვებს,
„ერი ცას შეყურებს.
„ეჰ! ვინ იცის, ვით გაივლის
„ცეცხლის საფეხურებს!..“

ს. აბაშელი, ხ. ვარდოშვილი და სხვები შეიპყრო ექვმა. მათ არ სწამდათ გამარჯვება, მათ ეგონათ არც ხალხს სწამს ეს გამარჯვება. სინამდვილემ არ გაამართლა ისინი. ერი აღარ უსმენს ძველ ლოცვებს“, ერმა იცის ვით გაივლის ცეცხლის საფეხურებს. და ეს დაშორება ერის და ინტელიგენტ-დემოკრატიისა შეიქმნა საშინელ ტრადელიათ. ისინი მოემწყვდნენ სასაფლაოს ბნელსა და მისტიურ ორლოებებში და მათ გულს დაესვენა „ტანჯვის ბარძიმი“.

2.

დემოკრატიის მწერლობის მებაირატრე იყო ს. აბაშელი. იგი ყველაზე ღრმად, ყველაზე გაბედულათ გამოხატავდა ამ შკოლის ზრახვებს, მის იდეებს, გაუბედავს, მორცხვს, გზა

დრო უპერიოდია.

დისონანსები.

მთრავს თათვი რამ ვაძლავთავათ,
ცყისურ წაფლით რაჟნ თრთავინი.

შენ ცყი არ გქონდა ამ დროს ნასკული,
რაცა ყვავილუის მღი ყარის ნასკულს.

„მამ შიპლავ, შიპლავ დღე ნიამბობს?“
მესპიდა სიფყავ ნაშობარში.

შეშმდექრთდა შენ მწყვარბიავი
და მყოფდა გრბნთმა დაწურავი.

ნიამბობის ვკალს ვარ შივავინ,
ნაცვლად ვამოფე შენი შავინი.

„ნიამბობი? ო, ნულარ! ნულარ!“
და შიგნად ცრბილი აედურავი.

რაცა გაგვბილდი რავარც სპილუნმა,
ვთაქვა: რაცა ვყოხნა სასლში შისპანბლუის?

ნანადირავი ან გაცინაშვა.
და შიკ სასლამდის ვარ გავატილუ.

რაც შივავალ? დრო, დრო უყურთმაშავიშოდ.
შე ან ვამაყებ ამ ვამარჯვობით.

ი. გრიშაშვილი.

აბნეულ იდეალს. რასაკვირველია თუ ს. აბაშელმა ყველაზე საშინლად იგრძნო რევოლიუციის მკაცრი კლანჭები. მისი „ტანჯვის ბარძიმი“ („ხომალდი“, მარტი 1922 წ.) დამარცხებულ ინტელიგენტის ვანცდათა კლასიკური ასახვაა. რევოლიუციის შემდეგ ქართულ ენაზე არ დაწერილა არც ერთი ლექსი, რომელიც ასეთი გულახდილობით, ასეთი თავდავიწყებით აშიშვლებდეს ქართველი განზე გამდგარი ინტელიგენტის ტანჯვას, უიმედობას.

„ტანჯვის ბარძიმი“ მთელი პოემაა, მის შესახებ მთელი ტომის დაწერა შეიძლება. აქ არის იმედები, მომავლის მიგებება:

„ჩვენ მივიდოდით და ბალის წინ გაიხსნა ხიდი.
„აეთიო ცაში დახვეტილი ფირუზის მტვერი.“

მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა სიხარული. „ბალი“ (ივლისხმება „თავისუფალი დემოკრატიული საქართველო“) ჩიხში მოექცა:

„გზა იყო ერთი და გზის ბოლოს მოსჩანდა მტერი“.

შემდეგ ჩვენ ვიცით რაც მოხდა. მოვიდა ნამდვილი რევოლიუცია, წალეკა ძველი, დაანგრა ქვიშაზე შეკაწიწებული ჰაერის კოშკი და შიშმა მოიცვა მგოსანი.

აქედან უკვე იწყება გოდება, ტირილი დაუსრულებელი, სასწაულის ცდა.

„როგორ მწყურია დავიბრუნო ძველი ხალისი ანდა

„მზე დაიჩრდილა. უჩირადნოთ მივალთ ბარბაკით.
„გწყურია ლოცვა, სასწაული და დამშვიდება.“

რა ნაცნობია ბევრისთვის ეს სიტყვები! 1922 წელში, როცა ეს ლექსი დაიბეჭდა, ბევრის თვალი იყო მიპყრობილი შავი ზღვისკენ, ბევრი ელოდა „სასწაულს“ ინგლისურ ფლოტის სახით. მე მასხოეს რა აღფრთოვანებით კითხულობდენ მაშინ ამ ლექსს. განა ცოტას სურდა მაშინ „სასწაული“ (ე. ი., ბოლშევიკების განდევნა) და დამშვიდება. მიუხედავად ამ ობიექტური სურვილებისა („დამშვიდება“) მგოსანი მაინც არ გამტყდარა. „ცეცხლის სარდაფში გამოკეტა ნება გმირული“.

„და ჩვენ ვფიქრობდით: არ დათვლილა ჯერ ყველა სხივი. აქედმე ბევრია ჯერ უცნობი ტყეში ყვავილი. ყველა სიმღერა ჯერ არ თქმულა რაც სულში ლევის მებერავი იღვებს ღმერთი ციდან ჩამოყვანილი. იმედი კარგი საქონელია, მაგრამ მის განსახორციელებლათ საქონია რაიმე რეალური დასაყრდნობი ძალა. მგოსანს არაფერი არ დარჩენია, ყველა გზები დაკეტილია. იმედის განსახორციელებლათ მხოლოდ ღმერთი და შერჩა და აი მგოსანი, რომელიც ოდესღაც მზეს უგალობდა ჰიმნებს, რომელიც ბრძოლის ყოყინას გასძახოდა, ეხლა ლოცულობს მუხლმოძრეკილი:

„დღეაო ხეთისაგ! ავვიყურია შენსკენ ხელები,
„ტანჯვის წუთებში დაკბენილი მტკივან თითებით.
„მწელი მღიმივა ჩვენი სული, საესე გველებით.
„დავემსხვრა სკიერი და დაიბნა მარგალიტები.“

„დღეაო ხეთისაგ! შეივდრომე სული დამწვარი
„და ავვაშორე ანთებული ტანჯვის ბარძიმი...“

იქ სადაც ბრძოლაა, სადაც სისხლი იღვრება, იქ ლოცვები ვერ გასკრის. ცრემლი ვერ გასწევს სისხლის მაგიერობას, ლოცვის ღლინი არ გამოდგება ზარბაზნების გუგუნის საპასუხობით.

მოკტი გრძნობს ამას. ამიტომ არის, რომ მისი იმედები საფრთხობელსავით ძონძებში გახვეულია და ვერაფერს ვერ იზიდავს.

„მიდის უნახავ კუნძულისკენ ოქროს ხომალდი,
„მაგრამ იმედი ისე ვასკენა და გაღარბდა,
„რომ შორეული ნაპირების აღმოხდომამდე
„დალუპავს ხომალდს ზღვაში სცილა და ან ქარიზდა.
არ გამართლდა დამქნარი იმედები. შშრომელოთა მასამ პირი იბრუნა შავი ზღვიდან. აღშვენებლობითი მუშაობა თანდათან ფართოვდება. წითელი ფერი მოსავს საქართველოს. ხეთის მშობლის მაგიერ შრომის ემბლემა დახარის ჩვენს ქვეყანას და ყველა ის, ვის მგოსნათაც თავი მოქონდა ს. აბაშელს, მედვარი, დაულაღვი ბრძოლით სკედს საუცეთესო მომავალს. აქ თითქოს მგოსნისათვის საკითხი გარკვეული უნდა იყოს. ძველი იმედები დასკვნა, მისი სათაყვანებელი ხალხი მარცხნით მიდის. მაშ გაუძებ წინ მეტი ყოყინია!

ძნელი ვახდა ჩვენი ინტელიგენციისათვის ტანჯვის ბარძიმის მოშორება. უიმედობა, აპატია, საზოგადოებიდან განდგომა, ანუ საბოტაჟი, როგორც ჩვენი ტერმინოლოგია ამაბობს, გაბატონდა მასზე. მგოსანმა იცის, რომ უკვე „არავის სწამს ღმერთი ციდან ჩამოყვანილად“, რომ „მტკიცე ბრძოლითაც ბედისწყება არ გამოკეთდა... მას უკვე აღარ სწყურია დაიბრუნოს დრო გაქცეული“ და სიკოცხლე მოძღვრებული იგი უცდის სიკვდილს:

„მივდივარ მგზავრი, ცისფერ შუქით თვალ-ახვეული.
„ყოველგან ეხვედები ჩემს ნაკვალევს, გველილს ათასჯერ.
„დაშულ გვირბის ნაცნობია ყველა ხვეული...“

„მოვა სიკვდილი და გზას წყეულს უკებ ვადაქრის.
და აი ამ სიკვდილის მოლოდინში, როგორც „მგზავრი ყავარჯნით“ დგანან დემოკრატები სასაფლაოს წინაშე. მათი შემდეგი ნაწერები ზედმეტი ვარიაცია ამ უნუგეშობის, გზა-აბნეულობის, იმედ დაკარგვის. „ანთებული ხეივანის“ (ს. აბაშელი, 1823 წ.) მეოთხე კარი ასეთ ლექსებით არის სასვე: „უკანასკნელ კარებთან“, „სული ეული“, „მწყურის ფსალმუნი“, სულის შემოდგომა“, „სევდა“, „ცრემლი“, „მქნარი ფოთლები“ და სხვ.

გავიდა დრო, ოქტომბრის რევოლიუციამ უსაშინელეს მტერთა შორისაც კი მოიპოვა არსებობის უფლება, უსასტიკესი ჩვენი მოწინააღმდეგენიც კი მოღბენ, იცენეს ჩვენი ძალა, ჩვენი შემოქმედებითი უნარი. მტრებიც აღფრთოვანებით უცქერიან ჩვენ ქარხანათა გუგუნს, საბჭოთა პურის უზარმაზარ მთებს. დემოკრატების ნაწილი კი ჯერაც ვერ მოსცილებია სასაფლაოს კარებს, „სლარაჯობს კუმოს“ და მათ გულზე კვლავ ასვენია ტანჯვის ბარძიმი.

შვარცი.

ცეცხლის ენებით.



ქარისტანის სახკომსაბჱოს თავმჯდომარე
ახ. მამედ გოგინბერიძე

ზეიმი ღროშებით.

ზვიადი სული
გვაქვს
ჩვენ
მებრძოლებს,
ენა შაშარის.
ესთვლით დღეს
ჩვენს თავებს
გამარჯვებულათ,
სული ზამთარში
გადისროლიეთ
ანაზღეულათ.
ვართ მოზიემე რაყიფები
ელვის, ანთების
და მოთაყენე პლებეები
რკინის შანთების.
გვიტაცებს ყღერა
ვით სიმღერა
ზუჩის და ფარის
და გვიტკობს სმენას
ვით სიმების
ქვითინი თარის.
გვტულს ქმუნვა სევდა,
გამოხედვა
გვიტაცებს ქორის
და გვეზიზღება
სხვა სიკოცხლე
ვით სუნნი შმორის.
ღიად მიზნიკენ
ისწრაფის სული,
გზა ირიბული
ვერ შვევაშინებს.
თავისუფლებას ვერვინ მოკლავს
ხმლით, მათუხერით!
ძველი ქვეყანა აღსასრულის
კარებს მიადგა!
ულელტებილზე
გამარჯვების სიღერას ვმღერით!

პ. რადიშვილი.

მე მესმის კენესა მოწყვეტილი ქვეყნის კიდევებს.
გაშოლტილ მიწას მღულარებით სისხლი გადმოსდის.
ო! ვინ გაივლის სასიკვდილო ცეცხლის კიბეებს.
მჭუხარებს ხალხი:— აჯანყება! ღრო არ გვაქვს მოცდის!
ცეცხლის ენები სასიკვდილოთ.— მსოფლიოს სერავს.
აღმოსავლეთი ამოძრავებს ტან დაქრილ ზვირთებს.
წითელი ლანდი შავ სამყაროს მაღლიდან ზვირავს.
ჩაგრულ ერების— ის აზიდავს დიდ ტანჯვის ტვირთებს.
დამბალ მიწიდან ო! სიკვდილი მოათრევს მძორებს.
გადმოვარდნილი ქვეყნის რისხვა სწყვეტავს არტახებს.
ვერვინ შემუსრავს მებრძოლ წითელ გლაღიატორებს—
მტრის შავ მანაკებს მათი რისხვა გააპარტახებს.
გრავივით მოდიან რისხვა ქარების—
ზმული გვაქვს ულელტებილებს.
აზრის საშოს სკდება ღარები.
ცა ათამაშებს ცეცხლის გრებილებს.
ქვეყნის გზა მოსჩანს ვით კატაკომბა.
გზა-ჯვარადინზე დადგება მტერი.
შურისძიების იფეთქებს ბოშა,
როს ცხელ სამუშის გაღიარს მტვერი.
ისმის კვილი გასაგონი ჩაგრულ ერების.
ეს მოწოდება დიდი ტანჯვის ესმის რაინდებს.
თავისუფლების იფუფუნებს ხმა სიმღერების.
დღეს ხალხის ძალა, — რისხვის ტალღებს მზრებზე აივდებს.
დღეს დიდ დასავლეთს აზვიადებს ველური ნება.
დღეს დიდ ქარხნებში— სამზადისში ფოლადი დნება.
დღეს იბრძვის ხალხი— ომი, ყლევთა, რისხვით შეტევა.
უისხლოთ გვერდი ბედსა მოსჯილს ვერ აუარეს.
დასწყდა ნერვები. სული ტანში აღარ ეტევა.
განადგურებას დღეს მსოფლიო ელის უარესს.
ჩრდილოეთიდან დაძრულ ციკლონებს—
მოაქვს ღროშები სისხლით ნაფერი
ჩინეთი დგება თავს არ იმონებს.
სურს გადიწმინდოს ბნელი ნამქერი.
უდაბნო გობის ამრისხანება—
გაღიარს ცეცხლით ცხელ სახარაზე.
ო! ეს იქნება ზანგის ბრძანება.
ზღვის სივრცეები თუ გადაარზეს.
არ გვეურს აშენდეს დღეს ვისმესთვის პირამიდები.
აღარ ადგება დაფლულ წლების მეფე რანზესი.
გვეურს ღრუბლიანი გადაეფანტათ დღეს ამინდები —
რომ ვიგრძნოთ წმინდა ჩვენ სიკოცხლე მხურვალე მზესი.
მქმინავ ქარხნების უნდა სქექდეს საყვირის ცემა.
ეს არის ჩვენი დღეს აღაქმული უკვდავი თემა.
მრავალ ერების უწმინდესი სული ნათრევი
დღეს უნდა აღსდგეს ჩვენთან ერთად გაერთიანდეს.
მტერთა უნდა იქცეს ძველი ქვეყნის ბინა. ნანგრევი.
რომ მომავალში შრომის კუთხე არ დაზიანდეს.
ღე: რაინდებო აღსდექით ბრძოლათ.
დასალტეთ თქვენი გულის ფიკაოი.
მსოფლიო მოვრთოთ წითელი ზოლით.
ჩვენ ზამოვიცნოთ მტერი ვინც არი.
ჩვენა ვართ ჩვენი ბედის მიმსკენელი.
მაშ, მეგობრებო! წინ წინ მხედარი.
მალე იქნება უკანასკნელი
დღე „გადამწყვეტი ბრძოლა მღდკარი“.

შალვა ციხელი.

სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობა აჭარისხანში.

1924 წლის 10 მარტს აჭარისხანის სახკომსაბკოს დეკრეტის № 7 თანახმად დაარსდა აჭარისხანის შინა-ვაჭრობა მრეწველობის სამმართველო — „აჭარპრომტორგი“, რომელსაც გადაეცა აჭარისხანის ყველა ფაბრიკა ქარხნები და მსხვილი წარმოებები.

დაარსებისას „აჭარპრომტორგს“ თითქმის არავითარი საწარმოო და საბრუნავი თანხები არ ქონდა. ხოლო ქარხნები ჯერ კიდევ აღუდგენელი იყო, ამ ხნის განმავლობაში „აჭარპრომტორგმა“ შესძლო უმთავრეს ქარხნების აღდგენა. გადაიყვანა ისინი სამეურნეო ანგარიშზე და დღეს არა თუ უღელმეტოა აჭარისხანის მრეწველობა, არამედ შემოსავლასაც იძლევა.

ამ ჟამად „აჭარპრომტორგ“ აერთიანებს ფაბრიკა-ქარხნებს, რომლებიც შეიძლება დიფოს სამ კატეგორიით.



თუჯის სასხმი ქარხანა
მექანიკური განყოფილება.

1. თამბაკოს, ფირფიცრის, ბამბუკის, საკოდე, არყის და სხვ. ეს ქარხნები უმთავრესათ მუშაობენ აჭარისხანში დაზადებულ ნედლ მასალით.

2. სათუთავი, ქიმიური, ბიღონის და სხვ. ეს ქარხნები მუშაობენ სხვა კუთხეებიდან შემოზიდულ მასალით.

3. თუჯის სასხმი და მექანიკური ქარხანა, რომელიც აწარმოებს ზემოთ აღნიშნულ ქარხნების მანქანების შეკეთებას.

„აჭარპრომტორგის“ ხელშია გარდა მრეწველობის სახელმწიფო ვაჭრობის წარმოებაც. ამისთვის მას აქვს გამოყოფილი „აჭარვაჭრობა“, რომელიც ერთის მხრით ასაღებს აჭარისხანის მრეწველობის ნაწარმოებს, იმარაგებს „აჭარ-მტორგის“ ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო ნედლ მასალას და მეო-



ქიმიური ქარხანა.
კრასკის საშრობი.

რეს მხრით მომხმარებლებს აწოდებს სამრეწველო საქონელს, რითაც სასტიკ ბრძოლას უწევს კერძო ვაჭრობას. სამრეწველო საქონელს „აჭარტორგი“ აწოდებს ქალაქსაუ, სადაც მას დიდი უნივერსალური სავაჭრო აქვს გახსნილი და, რაც განსა-

კუთრებით აღსანიშნავია სოფელსაც. ზულოში აჭარპრომტორგის სავაჭრომ დიდი საშახური გაუწია ვლესობას.

აჭარისხანის ვაჭრობა-მრეწველობის ინტენსიური ზრდა ყველასათვის აშკარა ვახდა. რასაკვირველია თავისთავად მრეწველობა არ აღსდგებოდა. აქ უნდა ჩაზრახვით აღნიშნოს, რომ ერთის მხრით მუშები შეგნებულათ ეპკრობიან საქმეს, რის გამო იზრდება შრომის ნაყოფიერება. სანიმუშოთ მოვიყვანთ 1923—24 წლ. ცნობებს, რაც „აჭარპრომტორგი“ ახლად დაარსებული იყო და მუშაობა ჯერ კიდევ არ იყო გაშლილი, ამ წლის ბირველ კვარტალში (ოქტ. — დეკემბერი) თითო მუშაზე მოდიოდა დამუშავებული პროდუქტია თევში:

სათუთავ ქარხანაში — 291.1.

ქიმიურ ქარხანაში 1909.6.

ამავე წლის უკანასკნელ კვარტალში (ივლისი — სექტემბ.)

სათუთავ ქარხანაში — 1.248.5.

ქიმიურ ქარხანაში — 2.161.5.



ფირფიცრის ქარხანა. საღურგლო.

აქედან აშკარათ სჩანს თუ როგორ იზრდებოდა ჩვენი მრეწველობა. ამ ჟამად „აჭარპრომტორგის“ ქარხნების ნაწარმოები საღდება საბჭოთა კავშირის და სპარსეთის ბაზრებზე. ზოთხოვნილება თანდათან იზრდება, რაც აჭარისხანის მრეწველობას ფართე პერსპექტივებს უშლის. მაგრამ თუ შესაძლებ-



ფირფიცრის ქარხანა.

ფირფიცრის საკრელი მანქანები.

ლი იყო ქარხნების აღდგენა საკუთარ საშვავლებით, უკვე მწელია იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელიც აჭარისხანის მრეწველობის წინაშე სდგას. აქ უკვე საჭიროა სახელმწიფოს დახმარება საბრუნავი თანხის მიწოდებით. მრეწველობა, ისე როგორ ვაჭრობა, ვერ გადაივლის მოკლე ვადიანი კრედიტით, რადგან ნაწარმოების დამზადებას და განაღდებას დიდი დრო სჭირდება. აქ საჭიროა გრძელვადიანი სესხი, რომელიც აუცილებლათ უნდა მიეცეს აჭარპრომტორგს, რომ მან შესძლოს აჭარისხანის ბუნებრივ სიმდიდრის გამოყენება.

ნომი.

ს ი ლ უ ე ტ ე ზ ი.

1. ი ს ი ნ ი.

ბაღის ბნელ ხეივანში სხედან ისინი. მაღალ ქაღალთა უამრავ ფოთლებში გაბანდული ბრწყინავი მთვარის მკრთალი სხივები ღამაზათ ჰქარგავს მოლურჯო სიბნელეს.

ზღვა წელი და წყნარი ნაპირებს უაღერსებს. იგი თითქოს რაღაც სველიანი სიწყნარით ხმაურობს: ისმის ტალღების ჩუმში შხაუნნი და ქვიშათა სულმინდებულები ყრუ ჩხრიალი.

ისინი ორნი არიან, ქალ-ვაჟი. ორივეს ეშინია ამ წმინდა, იღუმალებით მოცულ მყუდროების დარღვევა.

პირველად ქალი არღვევს სიჩუმეს.
— მაშ უკანასკნელათა ვართ ერთად... დიდის ხნით მტოვებ?!
— შეიძლება სამედამოთა... მე ჩემი მოვალეობა მიმიწევს...

სიჩუმე.
ქალი კვლავ იკრებს ძალას:

— ეს შეუძლებელია!.. მე შენ აგრე მიყვარხარ!.. უშენოთ მეშინიან კიდევ... შენზედაც ვშიშობ... უნდა დარჩე, გესმის, უნდა დარჩე აქ ჩემთან, ჩემთან...

— არასდროს... შეუძლებელია, ყველაფერი მოჩა...

— არა, მე მოვითხოვ ამას შენგან... როგორც გსურდეს, მიუყვებს ვაჟი და კვლავ ორივენი მღუმარებას მიეცემა.

ზღვა კი განაგრძობს თავის ტკბილ ნანას, თითქოს მათი ზღაპრული ძილით მოსვენება სურსო.

უცებ მათდა შეუმჩნეველად მათი ტუჩები შეიწყებია.

ირგვლივ ყველაფერი ტრიალებს, ყველაფერი აფორიაქებულია, მათი სხეულის ცახცახებს, წერებები იზმორება და მათი აზროვნებაც იძირება ღრმა მოდუნებით.

ქალი ერკვევა... გვერდით ვაჟი აღარ უხის, წასულა...
ირგვლივ ბურუსი უფრო და უფრო სქელდება, უკუნეთდება.

ქალის თვალები ბრწყინავს, ვით ცის ტატნობიდან მოსხლეთილი უფსკრულისაკენ დაქანებული ვარსკლავი.

II. უ ს ა თ ა შ რ ი.

სასაფლაოს დუმილის ანგელოს ფრთები ფართოდ გადაშლია და ირგვლივ ყველაფერი მის აბლაბუდაში გაუხვევია.

ცის მრისხანე პირქუშიანობა ჰარბათ მოუკრებია და თავის უთავბოლო სიერცეზე მუქ ზეწრათ გადაუქიშავს; უსაზღვრო გულისწყრომით თავს დასწოლია დედამიწას, ბნელ ბურუსში გაუხვევია იგი და რაღაც უხილავ ძალის რისხვით ექაღის მას.

ვის, ან რას გლოვობს? გაუგებარია და ამიტომაც დედამიწა მას ვერ შესაღებუნებია. აუწყრელი წყვილიდით გარემოცულა ყოველივე, მაგრამ კოსმოსის სუნთქვა ნაზი, ფაქიზი და მიშიდიველია.

ზღვაც არ დრტვინავს. ხოლმე ისე, როგორც ასეთს დროს სწევია, პირიქით, თითქოს ზეკას უწყრება ასეთი უმადურობისათვის, მეტად მშვიდათ ბუტბუტებს და თავის გულის წყრომას მხოლოდ ნაზი აზვირთებით გამოსთქვამს.

ამ უკუნეთში მკაფიოდ ისმის ბუმბერაზ დევის დედამიწის სულის თქმა, რაც წყვილიდით მოცულ ვაჟის ჰაეროვან და უნაზეს მუსიკათ შეერთებია და ზევით სიერცეში. სიმფონიით აღსავსე კონცერტი გაუმართავს.

გვიანი, მეტად გვიანი ღამეა. იშვიათი სულდგმული შეიძლება იყოს ეხლა მღვიძარი, იქნებ მყარად კაფეში გაბრუებული ვინმე ძალზედ ამძუნებელი მეოცე საუკუნის კეთროვანი და უილაჯო რაინდი ფხიზლობდეს მხოლოდ.

მაგრამ მე მკაფიოდ მესმის თითქოს უმანკო შეყვარებულთა ჩურჩული.

— აი, ეს ზღვაც ხომ ჩვენს სიყვარულს უმღერის და თავის ბუტბუტის ყოველ სულის თქმით მას ლოცვა-კურთხევას უგზავნის! ხომ ავრეა, ჩემო ალექო?!

ფიჩაულბაჯა ჯანთელაღის საწინდარია.



ახალგაზრდათა თავისუფალი ცარფიში აპარისტანის შკოლებში.

— ყრუ ხარ შენ. ჩემო ცილია, სრულიად ყრუ... არამც თუ უტყვი — მეტყველი ზღვის ტალღები, თვით ეს ქვები, ეს ზღვის კენკები, რომელზედაც ჩვენ ვწევართ — ჩვენს ბედნიერებაზედ ლოცულობენ, მის პირშოს ჰაეროვან აკენით ურწევენ და ციურ ნანას უმღერიან...

— მართლა?! მე არ მესმის, ამას მე ვერ ვგარძობ...

— აბა ყური უგდე...

და ქვიშათა ჩხრიალი აყრუებს თვით ზღვის ზვირთთა დეღვის შხაფუნს და ორთავ შეყვარებულთა ბედნიერების პირშოს მოძავალს ზღაპრული მშვენების საგალობელს უმღერის. უცხო სიზმრის ჰაეროვანი ცისფერ დოლბანდით იმოსებიან ორივენი და უხილავ ობობას მიერ გაქსელილ ჰამაკში ქანაობენ... მაგრამ უცებ ყოველივე ქრება... ცის საგალობელი ჩაბრწყინებულა და ბედნიერების პირშოს ბედობალი ალაღებდზე მიუგდია.

უმადურია ადამიანები... ყველაფერი სურთ მხოლოდ იმისათვის, რომ გარეწრული სიბილწით წარყვანან სულის მშვენება და სიფაქიზე.

III. უკვდავება.

უკვე აქ აღარა ხარ... შენთან ერთად წარვიდა ყოველივე ის, რაც შე მეტრებდა და მარიგებდა ცხოვრებასთან...

მაგრამ შენ მთელი თავისი სიღიადით ჩემს წინ დგებარ და შენი ნათელი თვალები თავისი მწვავედ ბრწყინავ სხივებით ანათებენ ჩემს მუდრო ბინას. მე მელანდებ შენი სხეულის და ხელების გრაციული რხევა. შენ ისევ ისე სდგებარ ჩემის მხედველობის წინ — მზიბლავი და საოცნებო, მილკარებელი და ამაყი, რომელიც ისეთისავე ოსტატობით აკვნესებს წკრილა ქნარის სევდიან აკორდებს.

მზიბლავი ოცნება და ფიქრები მიპყრობს. გეცხი, ჩემთან გიხმობ... არავითარი ხმა... ირგვლივ მხოლოდ სიკაღიერე და სიბნელეა— და მე მარტოდ ვარ, უშენოთ და ეს უსაშინელესი რამ ხდება და აუწერელი ტკივილებით სტანჯავს მთელს ჩენს არსებას, საშინელემა ორკეცდება სიბნელის გამო...

შენ კი ალბათ დანავარდობ უცხო ქვეყნის მზის მშვენეირო სხივებით აღზრდილ უცხოლ ნაქარგ მზიარულ მიდამოებში...

ხომ აგრეა?..

შენ იქ ალბათ წნავ ცისფერ ბუდეს თავის ბარტყებისათვის, რომელთაც შემდეგ ააფრენ და დავხაზნი ქვეყნის ყოველ კუთხეებისაკენ, რომ მათ ახარონ სამყაროს უღიადესი და უმშვენეირესი იდეალების გაღმერთება...

ხომ აგრეა?..

რასაკვირველია... ამაში ეკვის პატარა ნამცეციც კი არ შეიძლება შეიპაროს... საკმაოა შენ მხოლოდ შეგხო ამ ქვეყნიურ მიწიერებას, რომ ის დაინგრეს და მის ნაცვლად გაშენდეს ფაქიზი და ნაზი გრძობით აღსავსე მზიარულებისა და ბედნიერების უტურფესი სამყარო... ეს შენ ხელთ არის, შენ ძალგის იგი.

მაგრამ ეს ხომ აგრე შორს არის და მეც საუჯუნო ლოდინის და იმედების ანაბარათ ვარ მიგდებული, შენგან მიტრევებული...

მაგრამ შენ მოხვალ, კვლავ ჩაგეკვრები...

ხომ აგრეა?.. ჩემო მშვენეირო და მარადიული მშვენეებით კურთხეული სიყვარულია!..

IV. სინამდვილე.

გაზაფხულის თბილი საღამოა. ცაზე მილიარდი ვარსკვლავები ციმციმებენ. მთვარე ამაყათ აპობს ღრუბელთა გროვას და მკრთალი სინაზით მისტურავს მათ ხლართებში. დედამიწას სძინავს ღვივისებური სულის თქმით. მისი ხვნეშისაგან ამღვარი ბული ჯადოსნურად აორთქლავს სივრცის მუდროებისა და მის ნახსა და წარმტაც ილუმალეებას.

ჩემს საკანში სიჩუმეა, ყოველ კუთხეში მუდროების სული დაბუდებულია.

თვალეს თუმცა ცხუკავ, მაგრამ ლული არ ეკარება. ფიქრები ფიქრებს მისდევენ და ერთს რომელიმე მათგანზე გონება ვერ შეჩერებულა, მაგრამ უკვე ერთს აზრზე ხანგრძლივ ჩერდება ჩემი ოცნება.

ბედნიერი ვარ?..

ბედნიერი ვარ მით. რომ ვგრძნობ სიკოცხლეს ყოველივე მისი გამოხატულებით.

ვრწმუნდები, რომ ჩემი სიკოცხლე შემთხვევითი არ არის. ეს მიძღვეს საშვალეებას და უფლებას ვიფიქრო ბედნიერებაზე. ბედნიერება მელანდება მრავალ სახეებში და უთვალავ სიკეთეს გვპირდება.

უკვე ქუჩიდან რალაც ხმა მესმის...

კენესა!.. გმინვა!..

ფანჯრიდან ყურს უგდებ... არავინ სჩანს... გაღის ხანი... კვლავ არავინაა...

ბედნიერება?!

კვლავ გაწყვეტილ აზრს უბრუნდები.


ჰო. მართლა, რა სახეები იყო?! ქალაქი, სოფელი, ხალხი, ქალი, კაცი, დიდი, პატარა, ჩაგრულნი, უცხო, შორეული ქვეყნები, გაშენებული სრა სასახლენი... ქეჩა, ქუჩა მორთული, ხალხით სავსე მათი სურვილები... ბრძოლა. ბრძოლის ყიჟინა... სისხლი, სიკვდილი... კიდევ ბრძოლა, უკანასკნელი შეტევა და... გამარჯვება!.. დიად... გამარჯვება და—ეგ არის ბედნიერება!..

3. ანკურავა.

მიწის დამუშავება აჭარისტანში.



სოფლის ეკონომიურ აღორძინებისათვის საკმარისი არ არის გლეხისათვის მიწის მიცემა. განსაკუთრებით აჭარისტანში, სადაც მიწის სიმკირეა. საჭიროა სოფელში აგრონომიულ ცოდნის შეტანა: გლეხი უნდა შეეჩვიოს. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ხმარებას. პრიმიტიული იარაღები—კავი, ფოცხი და სხვა, რომელიც ჩვენს სურათზეა ნაჩვენები, უნდა გავნდევნოთ. მისი ადგილი გუთანამ უნდა დაიჭიროს.



სასოფლო-სამეურნეო კრედიტი.

დიდრ ხანი არ არის, რაც აპარისტანში არსებობს სასოფლო-სამეურნეო ბანკი. მაგრამ მისი მუშაობა უკვე საგრძნობლათ ემჩნევა ჩვენს ქვეყანას. აპარისტანის სოფელმა არ იცოდა, რა იყო საკრედიტო ამხანაგობა. ბანკის დახმარება. მან

იცოდა, რომ ახდევინებდნენ გადასახადს, ხოლო დახმარებას ვერაფერს ვერ ხედავდა. აპარისტანის გასაბჭოების შემდეგ სოფლის მეურნეობისათვის დახმარების საკითხი 1-ლ რიგში დაისვა. მიწის რეფორმა ჩვენში გლეხის ეკონომიურ მდგომარეობის



ქობულეთის საკრედიტო ამხანაგობა. გლეხები ეწვებიან ამ-ში.

საკითხს ვერ სწყვეტს. რადგან აპარისტანში მიწა ცოტაა. საჭიროა კულტურულ მეურნეობაზე გადასვლა. ამას კი სჭირდება ფული. და აი, ამ მიზნისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკი აარსებს საკრედიტო ამხანაგობებს სოფლად, რომლებსაც საშუა-

ლებით გლეხობას ეძლევა სესხი. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ უკვე დაარსებულია 7 საკრედიტო ამხანაგობა და მათ უკვე აქვთ მიცემული 1924/25 წლის განმავლობაში შემდეგი კრედიტი:

	გძელვადიანი	მოკლევადიანი	სულ
ხულოს საკრედიტო ამხანაგობას	3.000	7.125	10.125
ქედის	4.000	6.200	10.200
აპარის წყლის	4.000	2.000	6.000
ქობულეთის	5.000	23.907	28.907
ჩაქვის	3.000	21.976	24.976
კოროხის	5.000	11.750	16.750
ს უ ლ	24.000	72.958	96.958

ამ რიგით სოფლის მეურნეობამ 1924/25 წელში მიიღო ასი ათას მანეთამდე სესხი. ჩვენი პატარა კუთხისათვის ერთ წელში ეს საკმაოდ საგრძნობი თანხაა. თუ შევხედვით მის მიხედვით, რომ იმავე ე. ი. სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით სესხი მიეცა აგრეთვე მიწადმოქმედების სასეკომატს, წარმოკვეთის და სხვა ანალოგიურ სახელმწიფო დაწესებულებებს 197.770.99 მან, დაინახავთ. რომ სამასი ათას მანეთამდე მოხმარდა აპარისტანის სოფლის მეურნეობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1924/25 საოპერაციო წელი სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაიწყო მკორე თანხით.

მისი ძირითადი თანხა არ აღემატებოდა 100.000 მანეთს. მაგრამ წლის განმავლობაში ეს თანხა თანდათან იზრდება, როგორც ბანკის ლიმიტის გადიდებით, ისე სხვა გეარად მოზიდულ თანხებით და წლის ბოლოს ბანკის საწარმოო თანხა 500.000 მანეთს აღემატებოდა.

აპარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკის 1924/25 წლის მუშაობა გვიჩვენებს, რომ საქმე სათანადოთ არის დაყენებული და აპარისტანის სოფლის მეურნეობის ფინანსური დახმარება მომავალში უფრო გაძლიერდება.

ხელოვნება და სახელმწიფო*).

გარდა მხატვრული აღმშენებლობისა, სახელმწიფო აღმშენებლობის ყველა დარგში საბჭოთა ხელოსნულებას მკაფიოდ უარკვეული პოლიტიკა აქვს. იმავე დროს არ არსებობს ცხოვრების არც ერთი კუთხე, არც ერთი ამბავი, არც ერთი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელშიაც ასე თუ ისე ხელოვნება მონაწილეობას არ იღებდეს.

როგორ მოხდა, რომ აღმშენებლობის და არსებობის ასეთ მნიშვნელოვან დარგს აკლია რაიმე სახელმწიფოებრივი ხაზი, რაიმე მხატვრული პოლიტიკა?

იი რას ნიშნავს ეს დებულება:

1. ხელოვნების პრინციპიალურ-თეორიული შეფასება, როგორც სოციალურ იდეოლოგიური მოვლენისა.

სახალხო განათლების სამეც პაპა-

ურთიერთობის მშვენიერი ნაყოფი, სხვებზე ნაზი და ფაქიზი. ამიტომაც ახალი ხელოვნების იდეოლოგია და ამასთან ერთად მხატვრული პოლიტიკა გვიანდება ხოლმე.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ საკითხში დღემდის მიღწეული ხელოვნების ყველა დარგის ღრმა კრიზისს. ის ეხება არა მარტო ხელოვნების სამწიფო საკითხებს, არა მარტო შინაარსს და ფორმას არამედ ხელოვნების თეორიასაც.

ძველი ესთეტიკა რევოლიუციამდე განიცდიდა კრიზისს და ამ ნიადაგზე დაიბადა მრავალი სკოლა, მიმართულება, ძიება.

ოქტომბრის დიდმა გრივალმა კიდევ უფრო მკვეთრი ხასიათი მისცა ამ კრიზისს და დაიწყო მრავალ და მტკივნეული ძიება, ცდა (ფუტურისმი, კომფუტურისმი, სუბრემატისმი, ნეორეალისმი, იმაჟინისმი, ექსპრესიონისმი, ბიოკოსმისმი და მრავალი სხვა).

ეს იყო უფრო ფართხალი, ვიდრე ნამდვილი ძიება, რადგან ხდებოდა თეორიულად და სიბნელეში. ძველი თეორიები, პრინციპები უარყოფილი იყო მაძიებელთაგან, ახალი კი ჯერ არ იყო შექმნილი.

და დღეს ვხედავთ, რომ მორცხვად მიიზალა სუბრემატისმი, ხმაურით დაინგრა ფუტურისმი, დაიბნა კონსტრუქტივისმი, თავი ჩაქინდა ნატურალიზმმა, მიყუჩდა დალილი რეალისმი. მაგრამ ყველა ეს მიმართულება ცოტად თუ ბევრად სტრუქტურულ მემკვიდრეობას უკიდურესობაში იშლებიან, რბილდებიან.

მეზარცხენეებიც და მეზარჯვენეებიც გადახალისების და გადაფასების რადიკალურ გზაზე დგანან. ჩვენ ვხედავთ ახალ კომბინაციას, — რეალისტური კონსტრუქტივისმი („ლიზისტრატა“ მოსკოვის სახელმწიფო თეატრში).

რისტანში.



მედაგოგიური ინსტიტუტის ფახადი.

2. ხელოვნების მნიშვნელობის და ადგილის გარკვევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
3. დამოკიდებულების გარკვევა მრავალ მხატვრულ თეორიების, მიმართულებების ძიებების მიმართ.
4. სახელმწიფოს დამოკიდებულების გარკვევა სხვადასხვა სოციალურ კლასების ღჯგუფების მხატვართა შენოქმედების მიმართ.
5. ეგეთივე გარკვევა ეგრედ წოდებულ მხატვრული მემკვიდრეობის მიმართ.
6. ამ მხატვრული პოლიტიკის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

ეს არის ძირითადი ელემენტები მხატვრული პოლიტიკისა. რევოლიუციის პირველ წლებში პროლეტარიატი მხატვრული პოლიტიკის დამყარებისა და განხორციელებისათვის არ იყო მომზადებული.

ამიტომაც შეუძლებელი იყო მხატვრული „ოქტომბერი“. იდეოლოგია ეკონომიკასთან ყოველთვის ჩამორჩენილია. განსაკუთრებით ხელოვნების იდეოლოგია.

პოლიტიკური რევოლიუცია, სოციალური რევოლიუცია და შემდეგ, დავანებით რევოლიუცია ხელოვნებაში.

ამ უკანასკნელი რევოლიუციის გზა უფრო გრძელია და მიხვეულ-მოხვეული, ვიდრე დანარჩენებისა.

ხელოვნება კულტურული განვითარების ყვაილია.

ხელოვნება საზოგადოების განვითარების შომქმედ ძალთა ერთერთი ნაწილია და იმავე დროს ის არის ყველა ამ ძალთა

ვხედავთ, რომ თითქმის ყველა მიმართულება მიიწვევს რევოლიუციის და დღევანდელი დღის სულის კვეთების ასახვისაკენ.

ხალხური ფიქვულტურის ზემოეზი



მედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობა სახელმწიფოში. ლერძე აგებული, რევოლიუციის ბანის მომცემა მხატვრობა, ხალისის და ბრძოლის უნარის შექმნევა პიესა—ყოველგე ეს უკვე გარკვევით იჩენს თავს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში.

ზოგან გადახალისდა, ზოგან ახლად დაიბადა ნამდვილი რევოლიუციის მხატვრები: მგონები, მწერლები, დრამატურგები, მხანობები, მუსიკოსები და სხვა. მდგრად დგანან თავი თავიანთ სახელოსნოში და შეგნებულად ხმარობენ თავის ხელოვნების იარაღს.

გავაცივებთ და შეგნებულად მუშაობენ მუსიკალურ მენიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტები.

* რ. კელმეს წერილი.

ურაგმენტები ხელოვნების შესახებ.

რევოლიუციონური ხელოვნება.

ინგლისის განიქმნენ და წყაროები ეს ტერმინს უარს უთხრა და სთქვა: „რევოლუცია ატარებს ხელოვნების ჩირაღდანს“.

ანტირევოლუციონური მოაზროვნება შორის ამ თქმას დიდი ვასაფალი აქვს. მის მისჯელს ყალიბი შინაარსი, გაუკეთეს ტენდენციური კომენტარები და განიხილეს რევოლუციის წინააღმდეგ. ამ ჯერის მოაზროვნება მსჯელობის სქემა წარმოადგენს:

რევოლუცია უარყოფითი მოვლენაა. იგი მოდის როგორც უკან დახვევა, კულტურის დახვევა, ზარბაზნობა. რევოლუციის დროს მოვლენები სდუმან, ლექსებს სცვლის საავტორო კვლევები, ნახევრები პლაკატებს სწერენ, რომანისტები ქრონიკორათ მუშაობენ ყოველდღიურ გაზეთებში. არც ერთ რევოლუციის დროს არ დაწერილა ნაწარმოები. სანაგებროთ უარყოფილ იქნა დიდი კულტურული. განძი, რომელიც რევოლუციამდე შეიქმნა. რევოლუცია სწობს კულტურას. რევოლუციის დროს ქრება შემოქმედებითი ნიჭი.

ასეთია შინაარსი ყველა ანტირევოლუციონური მოაზროვნება.

ამ მსჯელობაში ბევრი სიმატლევა, ბევრი რამ მისაღები ჩვენთვის, მაგრამ მიუღებელია თვით მიდგომის ხერხი, კრიტიკიუმი, სხვადასხვაგვარად, რომლითაც ხეობთ ნახევრებს მსჯელობის ავტორნი უდგებიან რევოლუციას. მთელი შეცდომა თვით კულტურის ხელოვნების ყალიბი გადგებაშია.

რა არის კულტურა?

კულტურა ასახავს, იმ დარგებულებათა ჯანია, რომელსაც ქმნის ესა თუ ის ეკონომიური მდგომარეობა, ძალთა სოციალური განწყობილება.

რევოლუცია ანგრევს არსებულს და ქმნის ახალ ცხოვრებას. რასაკვირველია, ახალ ცხოვრებაში, ახალ საზოგადოებაში ახალია ძალთა განწყობილება, იქნება ეკონომიური დამოკიდებულებათა ახალი ფორმა. მაშასადამე ძველი კულტურა, რომელიც განმარტველი იყო (უმთავრესად, გარკვეულ ეპოქის, გარკვეულ ინტერესების, უნდა შეიცვალოს ახალ კულტურათ, მაშასადამე რევოლუციამ უნდა წარმოშვას ახალი კულტურა. მაგრამ კულტურის წარმოსაზრებათ საკიროს სათაზნადი პირობები. „რევოლუცია და ლიტერატურის“ წინასიტყვაობაში ანხ. ტროცკი სწერს: „კულტურა მეურნეობის წვენიით იკვებება და საკიროს მატერიალურ ღირებულებათა დაგროვება (ИЗЫТОК), რომ გაიფურჩქნოს კულტურა“.

მაშასადამე, სანამ ეს მატერიალური დარგებულება არ შეიქმნება, არ შეიძლება კულტურაზე დასაჯელი. და მართლაც! ვის სცალია ლექსისთვის ნაწარმი, როცა კულტურა მ პურს არიგებენ, ვის სცალია ნახევრებისთვის მაშინ, როცა

ფებს იკადებს მატერიალური ესთეთია, გზას იკაფავს ხელოვნების მარქსისტული ფილოსოფია.

ყოველივე ეს უკვე აშკარა მდგომარეობაა. ანტიომ შესაძლებელი სდება მხატვრულ თანამედრობასთან ობიექტიურ-კრიტიკული მიდგომით მივიღეთ.

ამის ობიექტიური შესაძლებლობა უკვე მოწინააღმდეგეობა. სახელმწიფოებრივი ინტერესებიც, ამას მოითხოვენ; ამიტომაც საკიროს სახელმწიფოებრივი მხატვრული პოლიტიკის საკითხი დღის წესრიგში იქნეს დასმული.

ხალხის საუკეთესო შვილები ტიტვლები და შვიერი იარაღით ხელში იკავენ ახლად მოპოებულ, ჯერ კიდევ სისხლიან თავსაფლებას! რევოლუცია ცეკლონია, ქარიშხალი; სადაც ნგრევა და შემოქმედება ერთმანეთშია არეული და არაინუწყის, სად თავდება ძველის ნგრევა და სად იწყება ახლის შენება.

სწორია ო. უაილდის თქმა. რევოლუცია ატარებს ხელოვნების ჩირაღდანს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ რევოლუციაში არ არის შემოქმედებითი ნიჭი, უნარი.

არ იწერება ლექსები, მაგრამ გროვდება პური, გროვდება მატერიალური სიმდიდრე, რომელიც შექმნის ხელოვნების და კულტურის ახალ ბაზას, ახალ ნიადაგს.

და როდესაც გაიმარჯვებს რევოლუცია, როდესაც განმტკიცდება მის მიერ შექმნილი ახალი ცხოვრება, როდესაც ამწვანდება ხოდაბუნები და ვლების ღიღინი ბანს ეტყვის ქარხნის მძლავრ გუგუნს, მაშინ აღმოაჩენდება გაიშლება რევოლუციის ხელოვნება, მაშინ დაეწყება კულტურის მრავალფეროვან შენობაზე ახალი ქვეები. მაშინ წარმოიშვება რევოლუციონური ხელოვნება.

ამის დამამტკიცებელი საბუთები ბევრი ახსოვს ისტორიას. კლასიკურ მაგალითად ჩათვლება საფრანგეთის რევოლუცია.

„ხუდაყესტვენოე სლოვოს“ № 1 ამხ. ლუნაჩარსკი სწერს, რომ რევოლუციის შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ, ან მეზოველ ქვეყნებში, სადაც ცხოვრება რევოლუციის არ აუფორიაქდება. საფრანგეთის რევოლუციონერებში აუცილებლათ ბევრი იყო მხატვრობის, მწერლობის, მუსიკის და სხვ. ნიქია აღტყვილნი, მაგრამ ისინი კაბინეტში ვერ ჩერდებოდნენ და მთელი თავისი ნიქი და ძალი პრაქტიკულ საქმიანობას მოანდომეს, გადმოიტანეს ტაქტიკაში, ჟურნალისტიკაში, ანთებულ სიტყვებში, ავტაციაში. საფრანგეთის რევოლუციამ ნაყოფი გამოიღო მხოლოდ შემდეგ, ნაპოლეონის დროს, როდესაც შეიქმნა სტილი „ამპირი“, როდესაც სენ-სიმონმა დაამუშავა ახალი თეორია სოციოლოგიაში, შეიქმნა ტერის ახალი ისტორია, ოგიუსტ კონტის ახალი ფილოსოფია და სოციალიზმიც. საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა ბალზაკი, ეოკრე ზანდი, პიუგო (საფრანგეთში), შილერი, გიოტე, ჰეინე, ბეტხოვენი (გერმ).

ეს დებულება, რასაკვირველია, მართალია, აგრეთვე რუსეთის რევოლუციის მიმართ. მართალია, უკვე რვა წელია, რაც ოქტომბერმა შეარყია ქვეყანა, უკვე გამარჯვებულია ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა კავშირი დგება ნორმალურ საქმიანობის კალაპოტში, იქნება მატერიალური ღირებულებები, მაგრამ კულტურის, ხელოვნების გარკვეულ ფორმის შექმნას დიდი დრო უნდა. საბჭოთა კავშირის მაგალითი სრულიად ამტკიცებს ხეობთ წამოყენებულ დებულებას. საქმარისი იყო გადასულიყო საბჭოთა კავშირი მშვიდობიან აღმშენებლობაზე, რომ უკვე იცნება ჩვენი ქვეყნის ბაზარი ახალ ნაწარმებებით. აღუშავდა მხატვრობა, მწერლობა, კანდაცება.

შეიძლება მართალია ამხ. ლუნაჩარსკი, რომელიც „მშრალ ბარბანის ხმას“ უწოდებს თანამედროვე პროლეტარულ პოეზიის ანაშურებას, მაგრამ ფაქტი ამ ანაშურებისა უკვე მაგენებელია ახალი ხელოვნების დასაწყისის.

დაზღვეულთა საქმიანობა დახმარება.

აქარისტანში მუშათა მედიცინა, ანუ დაზღვეულთა საქმიანობა დახმარებას აწარმოებს ჯანსახკომის დაზღვეულთა საქმიანობა დახმარების ქ/განყ. რომელსაც განაგებს ძველი მუშა აზხ.



ცენტრალური ამბულატორია. ელექტრიზაციის კაბინეტი.

ცხოიძე. როდესაც ამ ქ/განყ. მუშაობას ვეხებით უნდა აღნიშნოთ, რომ ზომინარე წლამდე მუშათა მედიცინის საქმე აქა-



ცენტრალური ამბულატორია. სააპერაციო.

რისტანში არ იყო, თავის სიმაღლეზე დაყენებული. ავთიაქებში დაზღვეული ვერ შოულობდა წამალს, ამბულატორიებში არ იყო საჭირო მედიკამენტები და ინსტრუმენტალია. აზხ. ცხოიძის დანიშნვის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. დაზღვეულთა საქმიანობა დახმარების ქ/განყ. საქმე საგრძნობლად გამოკეთდა. დღეს არც ერთ მუშას არ შეუძლია სთქვას, რომ იგი დროზე არ იღებს საქმიანობა დახმარებას, რომ დაზღვეულის რეცეპტი არ კეთდება რომელიმე ავთიაქში წამლების არ ქონების გამო.



ცენტრალური ამბულატორია.

უკანასკნელათ მუშათა ფართო კონფერენციაზე აღნიშნული იყო მუშათა მედიცინის საქმის საგრძნობი მიღწევები და დაზღვეულთა საქმიანობა დახმარების ქ/განყ. მუშაობა ცნობილ იქნა სრულიად დამაკმაყოფილებლათ. ეს გარანტიას გვაძლევს, რომ მომავალში დაზღვეულთა საქმიანობა დახმარების საქმე კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ამჟამათ ქ/განყ-ფ. აქვს ამბულატორიები, —სადაც შეიძლება ყოველგვარი ავთიაქითა-ბის ექიმის ნახვა. ამბულატორიები მოწყობილია განაბირა უბნებში, სადაც უმთავრესათ მუშები. ცხოვრობენ.

—ინი.

დავეხმაროთ ქართულ თეატრს.

სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობის განვითარებასთან ერთად ვითარდება კულტურა; იზრდება ხალხის შემოქმედებითი უნარი. ამის მაგალითებით სახსია ჩვენი ისტორია.

საქართველოში თვითმყოფლობის დამყარების შემდეგ ოქტომბრის რევოლიუციამდე ქართულ კულტურის ზრდამ ერთგვარ განვითარების საფეხურამდე მიადწია, მაგრამ ეს ხანა უმთავრესად ხასიათდება ქართულ კულტურის სულიერი პოტენციის შესზღუდვით. ოქტომბრის რევოლიუციამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა ძველი პოლიტიკა ერის კულტურულ განვითარების საკითხში და მისი სულიერი ფიზიონომიის გამოუმკლავების ფაქტორებს უდიდესი პერსპექტივები გადაუშალა წინ.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ქართული ხელოვნება მხოლოდ ერის ზედაფენების საკუთრებას არ შეადგენს. იგი თავისი შინაარსით, მიმართულებით და დანიშნულებით ხდება ხალხოსნური, ერის უმრავლესობის სულიერი განწყობილების გამომახატველი. დღეს ქართული ლიტერატურა შეუზღუდველია, ფრთა გაშლილი და სახსებით უფლება მოსილი. ქართული თეატრი თავისუფალ ძიების გზაზე დგას. ხელისუფლება დიდი ყურადღებით ეპყრობა სახალხო განათლების სა-

ქმეს საერთოდ და კერძოდ ხელოვნებას. მრავალრიცხოვანი კულტურული დაწესებულებანი, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, სამხატვრო ურნალეები, გამომცემლობა და თეატრები — აი ის ფაქტები, რომელნიც მოწმობენ ჩვენი ქვეყნის კულტურულ პროგრესს საბჭოთა წყობილების პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარებასთან ერთად. ყველასთვის აშკარაა, რომ ყოველივე ამას ესაქიროება მეტის მეტად დიდი ხარჯები; საბჭოთა ხელისუფლება ხარჯებს არ ერთდება და სახელმწიფოს საერთო კულტურულ განვითარების მიზნით მისი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი განათლების საქმეს ხმარდება. მაგრამ განათლებისკენ მისწრაფება გამოფხიზლებულ, განთავისუფლებულ ხალხში ამჟამად იმდენად აქტუალურია, რომ მისი სახსებით დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება ჩვენი სახელმწიფოს თანამედროვე ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობაში.

ხალხის კულტურის ერთი მნიშვნელოვანი დარგია თეატრი. თეატრი ჩვენი ცხოვრების სარკეა, სადაც უნდა სახიერდებოდეს მშრომელთა მასების სულიერი ფიზიონომია. საქართველოს კულტურის ისტორიაში თეატრი საუკეთესო საგანძურ იყო ხალხის გაათვითცნობიერებისა და განვითარების საქმეში. თეატრის მნიშვნელობა და გავლენა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა: დღეს ყოველი ქალაქი, სოფელიც კი ითხოვს თეატრს. რასაკვირველია ხელისუფლება ამას უწყვეს ანგარიშს. არც ერთ წესწყობილების დროს

ჯანმრთელობის საქმე.

აჭარისტანში სახალხო ჯანმრთელობის საქმეს სათავეში უდგას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის კომისარი ანხ. ო. მოწყობილი და მისი მოადგილე ამხ. მ. კორკოლიანი.

ჯანმრთელობის სახკომატს ორი უმთავრესი ამოცანა ედგა:

1. აჭარისტანის სოფლებში, სადაც მუდამ ექიმბაშები და მარჩიელები ბატონობდნენ, მეცნიერული ექიმობის, თანამედროვე მედიცინის შეტანა.



ჯანსახოკის საავთანოვრო ხულოში.

2. აჭარისტანის უსაშინელეს შტეტთან მალიარისთან ბრძოლა.


გარდა სხვა საკითხებისა, რომელიც ყოველ მხრის ჯანმრთელობის ორგანოს წინაშე დგას, ეს ორი კიბეა განსაკუთრებით მწვავედ იდგა.

რა ქნა ამ ამოცანების გადასაჭრელად ჯანსახკომმა?

ოთხი წლის მუშაობის თავზე უნდა ითქვას, რომ აჭარისტანის სოფელმა არა თუ გაიცნო მედიცინა, ექიმი, არამედ კიდევ შეიყვარა იგი. ექიმბაშები, მკითხველები, მარჩიელები საბოლოოთ დაშარცხებულია და ესლა არა მარტო მამაკაცები არამედ ქალებიც დადიან საავთანოვროებში და საექიმო პუნქტებში, რომლებითაც მოფენილია აჭარისტანი. თუ მხედვე-

ლობაში მივიღებთ ჩვენი კუბხის კულტურულ ჩამორჩენილობას, თუ მოვიგონებთ იმ დროს, როცა სოფელში ექიმის სახელიც არ იცოდნენ და მთელი აჭარისტანი სიბნელით იყო მოცული, უნდა ითქვას, რომ ჯ.ს.კ. დიდი საქმე გააკეთა.

მეორე არა ნაკლები მნიშვნელობის საქმეა მალიარისთან ბრძოლა. აჭარისტანის ზღვის ნაპირები ერთი საუკეთესო კუთხეთაგანია მთელ საბჭოთა კავშირში თავის სუბტროპიკულ კულტურით და სასუკუვესო თბილ ჰაით. ამ უპირატესობას წინ ელობება მალიარია, რომელიც მუსრს ავლებდა მცხოვრებთ. ჯანსახკომმა განსაკუთრებული ზომები მიიღო ამ სენის წინააღმდეგ. სპეციალურად მოწყობილი სამალიარიო სადგური გარდა ამბულატორიულ დახმარებისა, აწარმოებს პროფილაქტიურ მუშაობას და მალიარიის ბუდეებში ექსპელიციების მოწყობით და საქრო ზომების მიღებით, იმედია მალე სრულიად გაქრება ეს ავთანოვრობა. ამ დარგში ჯერ ბევრია სამუშაო. აქ უმ-



სამალიარიო სადგურის ლაზორატორია.

თავრესია ქობების ამოშრობა, რომელიც შესრულებულ იქნება ჰიღრო სადგურის ამუშავების შემდეგ.

უნდა აღენიშნოთ, რომ როგორც ქალაქში ისე, სოფელად ჯანმრთელობის საქმე სწორ გზაზე დამდგარი. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია მედბერსონალი, რომელიც დიდ გაჭირვებას იტანს კულტურულ ცენტრს მოწყვეტილი, რომ ხალხს დახმარება აღმოუჩინოს.

ამიმი.

არ უსარგებლია თეატრს სახელმწიფოს ისეთი ყურადღებით, როგორც ესლა. ამის მოწამენი ვართ დლიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ყველაფერი გაკეთებულია, რომ თეატრები უზრუნველყოფილია და უნდა გულხელდაკრეფილი იყოს. ჩვენი რესპუბლიკა არც იმდენათ მდიდარია, რომ ხალხის მთელი კულტურული მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ესეა საერთოდ საბჭოთა ყველა რესპუბლიკებში და ასეა აჭარისტანში.

დლიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, აჭარისტანში ხელოვნებისადმი სწრაფეა უსაზღვრო, მაგრამ საქრო რესურსების უქონლობის გამო ჩვენი თეატრის საკითხი დღესაც საესებით მოგვარებული არ არის. განათლების კომისარიატს დასჭირდა ყოველივე ღონისძიებათა ამოწურევა, რომ წყლს, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეედგინა ქართული დრამა, რომელმაც სეზონი უკვე დაიწყო „იმედის დაღუპვით“. ქართული დრამის საქმიან ნიადაგზე დასაყენებლად და სეზონის რიგანათ დასრულებისათვის საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრივების აქტიუობა. განათლების კომისარიატს გაუჭირდება სათეატრო საქმის პატრონობა; არა იმიტომ რომ საამისო წებისყოფა არ აქვს, არამედ და უმთავრესად ფინანსური შეუძლებლობის გამო. იმიტომ საბჭოთა საზოგადოებრივება მოვალეთ უნდა რაცხდეს თავის თავს გაუწიოს ყოველგვარი დახმარება ხელისუფლებას მიზნის განსახორციელებლად ქართული დრამის პატრონობის საქმეში. საზოგადოებრივი ელე-

მენტის შეტანა სახელმწიფოებრივ საქმეში სრულიად არ ზღუდავს სახელმწიფოს ატრიბუტებს, რადგან მთელი ხელმძღვანელობა და საქმის სადაეეები თრით სახელმწიფოს ხელშია. საბჭოთა საზოგადოებრივი ელემენტი გამოვა მხოლოდ როგორც დამხმარე სახელმწიფოებრივი საქმისა, ელემენტი რომლის ძალა და ღონე უნდა გამოიყენებულ იქნეს სახელმწიფოებრივი საქმის შესასრულებლად. მე მხედველობაში მაქვს ქართული დრამატიული საზოგადოების დაარსება აჭარისტანის განათების სახალხო კომისარიატთან. დრამატიული ს-ბა საბჭოთა საზოგადოებრივი ელემენტს გამოიყენება როგორც დამხმარე ძალას ქართულ თეატრის განსავითარებლად და ასალორძინებლად. საბჭოთა საზოგადოებრივობა ზედმეტ პოტენციას მიაკუთვნებს სახელმწიფოს თავის მიზნების განსახორციელებლად კულტურულ-განმანათლებელ ასპარეზზე მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ლ. ქორქაშვილი.

რედაქციისაგან. ჩვენი ყურნალის რედაქცია სიამოვნებით შთომბს ადგილს ამხ. ლ. ქორქაშვილის წერილს ქართული თეატრის შესახებ. საბჭოთა წესწყობილება თართე ასპარეზს უსწის საბჭოთა საზოგადოებრივობას. მოუწოდებს მას აქტიუობისაკენ. ეს განსაკუთრებით შესაძლია კულტურულ საკითხებში. რედაქცია ეთანხმება ამხ. ლ. ქორქაშვილს, რომ აჭარისტანში დრამატიული ს-ბის დაარსების საკითხი სრულიად მომწიფებულია. დრამატიული საზოგადოება უნდა დაარსდეს, ისე ბათოში ქართული თეატრი მუდმივ ხრონიკულ კრიზისის წინაშე იქნება. ჩვენ გვეჯერა, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი გამოეხმარება ამხ. ქორქაშვილის წინადადებას. ჩვენი ყურნალი სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ამ თემაზე დაწერილ წერილებს.

სეკვები ესენინ

„Тот ураган прошел, нас мало уцелело.
На переключке дружбы многих нет“.

ასე იწყება იმ წიგნის პირველი გვერდი რომელსაც „С. Есенин“ აწერია.

ეს ორი სტრიქონი ლითონებით ჩამდგარა ლექსში და მწვავედ განვიცდი იმათ სიმძაფრეს.

მან მწვავედ იგრძნო ამ თემის ტრაგიზმი. ეს ხომ პუშკინის „И кому же из нас в день торжественно-вать придется одному“-ს ანალოგიაა. ეს თემა პოეტებისთვის ბედისწერასავით იდგა, ხოლო ესენინმა ის კვადრატში აიყვანა.

მისი ლექსების დანარჩენი სტრიქონები ამ თემის ლოლიკური დასრულება იყო. მაგრამ მჯერა რომ ის სრულიად სხვას გულისხმობდა როცა ამბობდა: „Моя поэзия здесь больше не нужна, да и, пожалуй, сам я тоже здесь не нужен“— პირიქით ის უკანასკნელ წლებში ყველაზე სანდო პოეტი იყო და სწორედ ამით აიხსნებოდა, რომ მისთვის ღია იყო ყველა რედაქციებისა და წრის კარები.

მისი გენერალური გამოსვლა მოხდა იმანკინიზმის ნიღაბით, მაგრამ ეს იმდენად საეჭვო იყო რამდენადაც მისი ტრადიციული სიკვდილი.

მასში ეხედვით ნიჟს—ეს სჯეროდა ესენინსაც და ამიტომ იყო რომ ის „პოზიციებზე“ ძლიერ ცოტას ზრუნავდა. საინტერესოა მისი სიცოცხლე, როგორც მომენტები.

დააკვირდით:—

ცხოვრების პრაქტიკულ სფეროში—სრული ანორმალობა. მან დიდი ხანია მიიღო ტიტული „Российского скандального поэта“. მისთვის არ არსებობდა არავითარი სისტემა, მას ქუჩის ბავშვით ნახავდით ქალაქის ყოველ კუთხეში, ქალაქის ყველა წრეში. ის როგორც ტრუბადური. მოგზაურობდა ს.ს.რ. კავშირის ტერიტორიაზე. მისი ლექსები ბალადებით იხმოდა. ან მისი „Поэма о 36“ „Песнь о великом походе“ და „26“—ის გმირები ვანა ჩევინი ეპოქის ტრისტანი და როლანები არ ირიან?!
როგორც პუშკინი, ლერმონტოვი, ნადსონი, გრიბოედოვი, ბალმონტი, მაიაკოვსკი და სხვები, ესენინიც ფეოჩენში.

„Кавказ“ რუს პოეტებისთვის სფინქსით დგას. ეს მხარე მათთვის სრული ლეგენდაა და ამითაც აიხსნება რომ საქართველოდან დაბრუნებულმა ესენინმა კრემლის მახლობლად ლექსების მთელი თაბახი დაყარა. ყველაზე მძაფრად ესენინმა თავისი სახე ჩვენში დაწერილი ლექსებში გამოამჟღავნა. ის აქ იყო ნაღდი ესენინი, რაზედაც ვორონსკიმ „Красная Новь“-იდან მას კიდევ უკიდევ „კავკასიის ჰაიფ“-ს გავლენა. როგორი იყო ეს „ჰაიფ“ ამის გავება თუნდაც იმ ორ ლექსით შეიძლება, რომელიც მან ქართველ პოეტებს უძღვნა. ის შარშანწინ ბათუმშიც იყო და ეწორედ იმ სტამბაშიც, რომელშიაც ეს ჟურნალი იწყობა...

ჩვენ გემართებს მის შესახებ ბევრი ესწეროთ—მაგრამ ისიც ბევრს ამბობს, რომ ეს რუსი „მუჟიკი“-ს პირწაყარდნილი შვილი სასტუმრო „ინტერნაციონალ“-ში გარდაიცვალა.

3. 2—რია.

*) შემდეგ ნომერში რედაქცია მოათავსებდა ვერცხლს იმანკინიზმის შესახებ და ესენინის ლექსების თარგმანს.



ესენინის სიკვდილი.

ლენინგრაღში სასტუმრო „ინტერნაციონალი“-ში თავი მოიკლა (ჩამოიხრჩო) პოეტმა ს. ესენინმა. პოეტი უკანასკნელ ხანებში, მიუხედავად გარეგან სიმხიარულისა, დიდ სულიერ გარდატეხას გრძნობდა. მოსკოვში იგი ცუდ მდგომარეობაში იყო. მშობლებმა მოათავსეს პსიხიატრიულ საავთმყოფოში, საიდანაც თავის ნებით წავიდა. ლენინგრაღში ესენინი ჩავიდა 2 დეკემბერს. მეგობრებს აუხსნა, რომ გაეყარა ცოლს, გასცილდა მშობლებს და საბოლოოდ დასტოვა მოსკოვი.

რამდენიმე დღის წინათ თავის მოკვლამდე ესენინი მეგობრებს უკითხავდა ლექსებს. რომლებიც დაწერილი არ დარჩა. თავის მოკვლის წინ გაიჭრა დანით ძარღვი და სისხლით დასწვრა ლექსი, რომელსაც აქვე ვათავსებთ რუსულათ.

იმპაინიზმის მამამთავარი.

ესენინი იყო იმანკინიზმის*) მამამთავარი. რუსულ ლიტერატურაში როგორც ნიკიერ პოეტმა მალე დაიმსახურა ყურადღება და ყველას პატივისცემით სარგებლობდა. რუს „პოპულტიკებ“-ში ერთ უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენდა, რაც აიხსნება მისი ლექსების სიმარტივით, გრძნობების სიჭარბით და შესაფერ ლირიზმით. მიუხედავად თავისებურ სტილისა, ის მუდამ რადიკალურ თემებს ირჩევდა. მისი გმირები იყვნენ ბოლშევიკები, კომსომოლისტები, ბაქოში დაბრუნებული კომუნარები, ბუდიონი, შაუმიანი, ჯაფარიძე და ყველა ჩვენი დროის სახელოვანი შვილები. ესენინის ლექსების მთლიანი გამოცემა ჯერ-ჯერობით არ არის. მისი ლექსები გაბნეულია ყველა პოპულარულ ჟურნალ—გაზეთებში. მოიპოვება ლექსების პატარა კრებულებიც.

უკანასკნელი ლექსი.

აქვე ვათავსებთ ს. ესენინის უკანასკნელ ლექსს, რომელიც სიკვდილის წინ სისხლით დასწვრა.

До свиданья, друг мой, до свиданья.
Милый мой, ты у меня в груди:
Предназначенное расставанье
Обещает встречу впереди.
До свиданья, друг мой,
Без руки и слова
Не грусти и не печаль бровей,
В этой жизни умираю не ново,
Но и жить, конечно, не новей.

ო ქ რ ო.

ს. ე—ვას.

ვხედავ ღილიდან სიმშვიდე მოქრის
სახეზე ვამჩნევ შენს წითელ ბილიკს!
ძვე ჩამდგარა ტუჩებთან ოქრო
როგორც სპლენდის პატარა კბილი:
მაგრამ იცოდე აქ ისე ნუ კრთის
შენი თითები წყობად და მწყრივად:
როგორც შარაზე ფერმკრთალი ნუკრი
როგორც მინებში მოღლილი წვიმა.
არ ვიცი თვალი რას მოუწინავეს
რადგან სიშავის ვერ ვხედავ მიზეზს!..
კბილებში ოქრო როგორც უნაბი
ისე ჩამდგარა და ისე მიმზერს.
ვიცი რომ შუშას ბევრჯერ გადარე
მაგრამ იარე ისევე თრთოლვით,
სანამ ვნახავდეთ უმზეო დარებს
სანამ დაწვება შარაზე თოვლი.

პიქ. ვაბახიჩიკა.

დეკემბერი.

ქუჩის ბავუი და ქუჩის მურია.

მე რომ მოვედი თქვენთან მშვიერი—ზარებს ჩამოვკარ უძღურათ კარზე. მაშინ მომესმა ხმა უღიერი: „ღმერთი გიშველის“... მიჩვენეთ ხატზე...
რა მექნა... წაველ!.. ვზივარ კუთხეში: მივმართე ისევ ზეციერებას: „მიშველე ღმერთო!“ და იმ წუთებში, ქვატ-კი ისმენდა ჩემ ყრუ ვედრებას!..

პასუხათ მესმა მხოლოდ დუმილი: ჩემთვის შეჩერდა მიწის ბრუნვაცა... მომესმა მხოლოდ კენესა—ჩივილი: ჩემსავით სწუხდა კიდევ ვიღაცა:
მურია, ვგლო იქვე, მახლობლათ, საბარალო ძალღი გაცივებული... ჩემებრ საწყალი ქუჩაში ობლათ ვგლო ბედისგან დავიწყებულდი...
მშვიერ—მწყურვალი ჩამოკენილი, უბინო, ქუჩათ მოხეტიალე; ძალიც მშვიერი—ჩემებრ დევნილი... გვაშველებდა ბედის ტრიალი.

არიე—დარია ბედმა ცხოვრება: ბავუი და ძალი ერთად შეყარა. ბავუის ცრემლი და ოხვრა—გოდება ძალღის ცრემლებთან ერთად ეყარა.
ორნივე ვიყავით ქუჩათ გდებულო, უსახლკარონი, მშვიერ—მწყურვალი: თითქოს იმედით შუქალგზნებული ძალღმა მომპაპრო თვალი მტირალი.

ვინ მოვა ჩვენთან და ვინ გვიშველის! გვწყურია შრომა, სწავლა გვწყურია. მიიღეთ მძებო, შიშველი მძები—ქუჩის ბავუი და ქუჩის მურია.

ი. მოსიძა.

კოლექტიური პრინციპი თეატრალურ ხელოვნებაში.

პროლეტარული თეატრი, ნაცვლად კაპიტულ და ინტი-
მიურ-ინდივიდუალური პრინციპისა, იძლევა პრინციპს კო-
ლექტიურს.

მასიურ-კოლექტიურ პრინციპს საცესებთ ეფარდება პრო-
ლეტარული თეატრის ფორმა: დეკლამატიურ-ვოკალური ხო-
როები, კოლექტიური პლასტიკა, მასიური მიმიკა, მარტივი და
გარკვეული გრძობები (ნიღაბმდე!).

პროლეტარული თეატრი ახდენს მხატვრული ფორმების
რადიკალურ გადაფასებას. არის თეატრი, რომელიც ამოცანად
ისახავს ცხოვრების ასახვას, ან ფოტოგრაფიულად, ან ტიპი-
ურ განზოგადებით (რეალიზმი). ჩვენის აზრით მხატვრულ
პროცესს არ შეუძლია და იგი არც უნდა ცდილობდეს ცხოვ-
რების ასლის მოკვასს. პროლეტარული თეატრი ახდენს ცხოვ-
რების ფერისცვლებას კლასობრივი ფსიქოლოგიის და იდეო-
ლოგიის პრინციპით. ამიტომ იგი არც რეალისტურია, არც ნა-
ტურალისტური. არის თეატრი, რომელიც პირველ რიგზე
ფორმას აყენებს. ფორმის პრიმატი, ამ შემთხვევაში ბორკავს
შინაარსს (კლასიციზმი), ან და შინაარსს სრულიად არ ექცე-
ვა ყურადღება და მთავარი გულისყური მიჰყრობილია ფორ-
მისადმი. (ფორმის აბსოლიუტური პრიმატი).

**პროლეტარული თეატრი იცავს შინაარსიანობის და
მისდამი შეფარდებული ფორმის პრინციპს.**

თეატრს, როგორც ხელოვნების ყოველ დარგს, შეუძლია
აირჩიოს ანალიტიური გზა. მას შეუძლია მიზნად დაისახოს
არსის ძირითადი ელემენტების შერჩევა და მისი რეალიზაცია
დაშლის საშუალებით (კუბიზმი). თეატრს შეუძლია დაეყრდნოს
არსებული კულტურის ელემენტს და მიიღოს ნაწილი მთელად;
მაგალითად ნაწილის დინამიზმი და მაშინიზმი (ფუტურისმი).

პროლეტარული თეატრი სინტეტიურია.

თეატრი, როგორც ყოველგვარი ხელოვნება, არის მხატ-
ვრულად გარდატეხილი იდეოლოგია; არის თეატრი, რომე-
ლიც: პირველის შეხედვით, არ ატარებს აშკარა არისტოკრა-
ტიულ, ან ბურჟუაზიულ სახეს, მაგრამ არსებითად იგი ვახრ-
წნილი და რეაქციონურია; აი მავალითებიც:

მისტერიის და არლეკინის თეატრი; (არლეკინობა დაფუძ-
ნებულია თეატრალური ტიპების მარადისობის ყალბ იდეაზე.
ორთავე აღნიშნული სტილი ეწინააღმდეგება პოზიტიურ-რე-

ლათიური იდეოლოგიის სტილს, რომელზედაც ეყრდნობა
პროლეტარული თეატრი).

სიმბოლისტურ-მარიონეტული თეატრი; (სიმბოლიზმი—
ხელოვნების ენაზე გადათარგმნილი მეტაფიზიკურ-მისტიური
დუალიზმი. მარიონეტად აღამიანი ხდება იმ კლასის წარმოდ-
გენით, რომელიც არსებულ ისტორიულ ეპოქაში დარჩა „უსა-
ქმოდ“ და შეითვისა უიმედო, პასიური მსოფლმხედველობა.
ყოველივე ეს უცხაა იმ კლასისთვის, რომლის ხელოვნური
შემოქმედება ეყრდნობა აქტივობას და ოპტიმიზმს).

გროტესკის და იმპრესიონიზმის თეატრი: (გროტესკს და
იმპრესიონიზმს აქეთ-ერთი რამ საერთოა: ორთავე სტილი წარ-
მოდგარა ფსიქოლოგიურ დაშლილობა-დანაწილების ნიადაგ-
ზე. გროტესკს მუდამ ახასიათებდა შინაგანი წინააღმდეგობა,
თვითთარყოფა. იმპრესიონიზმი არის კაპიტალისტური ავონის
ნერვიულ მოქალაქის ფსიქოლოგიური განცდა. იმ კლასს-კი,
რომელიც ფოლადის გივანტის და საყოველთაო ორგანიზაცი-
რის როლში ევლინება თანამედროვეობას—არაფერი აქვს სა-
ერთო იმპრესიონიზმის ავადმყოფ სულთან).

როგორია პროლეტარული თეატრი აქტიორი?

აქტიორი—აქტიორის ტექსტის გრამოფონი, ადგილს უთ-
მობს აქტიორს—**იმპროვიზატორს**; აქტიორი—მარიონეტი რე-
ეისორის ხელში, ადგილს უთმობს აქტიორს—**შემომქმედს**;
აქტიორი—სპეციალისტი სიტყვაში (დრამა), მიმიკაში (პანტო-
მიმა), სიმღერაში (ოპერა), ცეკვაში (ბალეტი)—ადგილს უთ-
მობს აქტიორს—**სინტეტიკს**.

განცდის აქტიორის ნაცვლად, რომელსაც სცენიურ გეგ-
მაში გადააქვს თავისი პირადი შემთხვევით—ემოციონალური
განცდა, პროლეტარული აქტიორი იძლევა **კოლექტიური
ფსიქოლოგიის** გამოვლინებას.

აქტიორი-კონსერვატორი, რომელიც უკან იხედება—ად-
გილს უთმობს აქტიორს-რევოლუციონერს.

(ახალი აქტიორი სახეებს ქმნის რეჟისორის კომპოზიციის
საერთო გეგმით).

დასასრულ, აქტიორი—ინდივიდუალისტი, რომელიც ცენ-
ტრში თავის თავს ათავსებს, ადგილს უთმობს აქტიორს—**კო-
ლექტივისტს**:

ასეთია პროლეტარული თეატრის ძირითადი პრინციპები.

მ. ს



სწ. სერგო მარჯონიძე.

ლიტერატურული საქართველო.

„H₂SO₄“ და სხვა.

ჩვენში წიგნის ბაზარი ისე ღარიბია ქართულ ორიგინალურ ლიტერატურით, რომ ყოველ ახალ წიგნს ძალა-უნებურათ შეამჩნევ, მაშინაც კი, როცა ეს ახალი გამოსვლა ყურადღების ღირსი არ არის. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ „H₂SO₄“ და „ლიტერატურა და სხვა“ მიიქცია ყურადღება. ამ ყურადღებას, ამ ინტერესს აძლიერებს ერთი გარემოება: ჯგუფი „H₂SO₄“ გარკვეულ პრეტენზიებს აცხადებს თანამედროვე ლიტერატურულ ფრონტის ღირეურობაზე და აყენებს თანამედროვე ხელოვნების საკუთარ კონცეპციას.

ამ წერილის მიზანი არ არის ფუტურისტების კრიტიკა. ჩვენ გვინდა გასაგებ ენაზე გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას ამ შკოლის მსოფლმხედველობა, მისი გაგება. იმ მფრინავ იაფ მანიფესტებს, რომელსაც ფუტურისტები ყოველ ცხვირის დაცემინების გამო უშეგებენ, ყურადღებას არ მივაქცევთ, რადგან ეს მანიფესტები უხეირო ვარიაციაა მათი მთავარი ნაშრომების მათ დასახასიათებლათ ჩვენ ვისარგებლებთ თურნალებით „H₂SO₄“, „ლიტერატურა და სხვა“ და ს. ჩიქოვანის წერილით „მნათობში“ № 4.

საიდან მოდიან ეს ახალგაზდები?

უბრველეს ყოვლისა მათი სახელწოდების შესახებ: ფუტურისტები.

ჩვენ ვიცნობთ მარინეტის ფუტურისტებს, რომელიც ყანწილებმა კონტრაბანდათ შემოიტანეს პ. იაშვილის „პირველ-თემით“. ვიცნობთ რუსულ ფუტურისტებსაც.

„H₂SO₄“ საბჭო ამთავან გამიჯნულია. ბერთ ს. ჩიქოვანი (ამ ჯგუფის წინამძღოლია) „მნათობში“ აღნიშნავს, რომ მისი ჯგუფი კარდინალურათ განსხვავდება „ევროპიულ და რუსულ ფუტურისტებიდან“. „ეს სახელწოდება ჩვენ შეგვრჩა იმდენით, რამდენადღე ფუტურისტში არ გულისხმობს რომელიმე ბანსადგრულ შკოლას“.

მაშასადამე ეს ჯგუფი თავს სთვლის ფუტურისტმათ, მაგრამ ახალი შინაარსით.

საიდან წარმოიშვა ეს ახალი შინაარსი?

ს. ჩიქოვანი იკვე სწერს; „თუ კომუნისტური ეპოქა საჭიროებს ხელოვნების ახალ ფორმებს და ეპოქალურ მოვლენების ფაბულას, მან უნდა მოსპოს ყველა ლიტერატურული გემოვნება და ჩამოაყალიბებული ფორმალური მეთოდი“. „აქედან გამომდის: ზირველი დებულება ტერორი-კომუნისტურ სახელმწიფოში დარჩენილ ლიტერატურულ ხაჯავის წინააღმდეგ“.

გავშალოთ ამონაწერი; რევოლიუცია და ახალი სახელმწიფო მოითხოვს ახალ ხელოვნებას, ახალ ფორმებს. ძველი უნდა განადგურდეს არა მისი შეთვისებით, ვადაშეშავებით, არამედ ტერორით. ეს „ორიგინალი“ აზრი ცოტათი წააგავს ვარდინის და სხვა „ნაპოსტოვოლთა“ შეხედულებას ძველ ხელოვნებაზე და თანამგზავრებზე.

ხელოვნების გაგება:

„ხელოვნებას, ისე როგორც სოციალურ მოძრაობას აქვს ორი ზოლიუსი. ზირველი—რევილიუციუსი და მეორე—დემუქსიკობის. ზირველი გულისხმობს მოძრაობას გადასულ ფორმების და ფაბულის გასასადგურებლათ, მეორე—ახალი სიტუციების და ფორმების აჯებას“. (იკვე ს. ჩიქოვანი).

პირველი, ე. ი. რევოლიუცია ხელოვნებაში ვიცით. ეს არის ტერორი, განადგურება წარსულისა (მარინეტის გადმოტანილი რევოლიუციუსი ნიადავზე). უფრო საინტერესოა მეორე: როგორ ესმით ახალ ფუტურისტებს აღნიშნებლობა ხელოვნებაში, როგორია ხელოვნაბი.

„ახალი ზოკუტი.

„ზოკუტი ინტენარი.

ზოკუტი პრაქტიკი, ზოკუთა სადაც ფორმა არი მხოლოდ მოკლეს.

„ყოველი სიტყვა ჯერ ხმა არის, შინაარსი“:

„შე მრწამს ზოკუთა როგორც რეკლამა-ბიურო.

„ზოკუთა დინამიურობის უოკუდლიური გაზუთი.

„ზოკუთა როგორც სალტამორტალური ქრისტიკა თამაში სიტუციებით.

„ზოკუტი აკრობატი.

„კონგლიორი.

„კვივილიბისტი.

(შ. აღხაზაშვილი. „ლიტერატურა და სხვა“).

ეს არის ხელოვნების მეორე პოლიუსის გაგება—, „ახალი სისტემების და ფორმების აგება“. ზოკუთა არა როგორც შემოქმედი, არამედ როგორც სარეკლამო მისალა (რეკლამ ბიურო), როგორც სააგიტაციო კულუტი, როგორც ქრონიკა ყოველ დღიურობის, გაზეთი, სიტყვების თამაში. აქ საინტერესოა ერთი მოვლენა: იწყება „ზოკუტი ინტენერით“ და თავდება „პოკუტი-კონგლიორით“. აღმათ პირველი ხელოვნების „ეტილიტარისტული“ მხარეა—მეორე „ესთეტიურია“.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ფუტურისტების გაგებაში არის ერთგვარი არევა. ზემოთ მოყვანილ ამონაწერის ქვეშ იმავე წერილში შ. აღხაზაშვილი სწერს იმავე საგანზე:

„ხელოვნება ცხოვრების კონტეკტორი არ არის, არც ორნამენტარული ფრესკა: ცხოვრება ქოთია აწადი ზოკუთა არას ორგანიზატორი კონსტრუქტორა ამ ქაბისის. ახალი ზოკუთა, როგორც აქტუალური ძალა: ერევა ცხოვრების უოკუდლიურობაში და ან გადაადამებს ან სრულიად სწაბს ძველ დრომდგმულ დარბუქებებს“.

ამ ამონაწერიდან სჩანს, რომ ხელოვნება არ გვაძლევს იმას რაც სინამდვილეშია, ხელოვნება არ გვიჩვენებს არსებულს, არამედ არსებულისა ქმნის ახალ სინამდვილეს; ხელოვნება არ გვიხატავს რევილიუციუსს; არამედ თვით ქმნის რევილიუციუსს. აქ ხელოვნება წარმოდგენილია, როგორც ცხოვრების ერთად ერთი შემოქმედი, როგორც ღმერთი, რომელიც ქაბისიდან ქმნის კოსმოსს.

ასე რომ ახალ ფუტურისტებს ხელოვნების ორი გაგება აქვთ. პირველი: ხელოვნება რეკლამა-ბიუროა, ზოკუტი სიტყვებით მოთამაშე, ქრონიკორი, რომელიც კონგლიორებს კიდევ. მეორე: ხელოვნება კონსტრუქტორი ახალი ცხოვრების.

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი:

ფორმა და შინაარსი.

ყოველ კონსტრუქტორს, რომელიც აუცილებლათ უტილიტარისტია, უნდა აინტერესებდეს შინაარსი. ვის რათ უნდა ისეთი ულამაზესი, უორიგინალესი ჰაეროპლანი, რომელიც ვერ გაფრინდება, ან რომლის გამოყენება არ შეიძლება!

შ. აღხაზაშვილი სწერს:

„შინაარსი მეორე ხარისის ექვივალენტია“.

„სიტყვა მისაღება ინდივიდუალურად. მაკალითად ჩემთვის სიტყვა „ოფლი“ უფრო ღამაზია ვიდრე „ვარდი“.

მაშასადამე პირველ რიგში დგას ფორმა. შინაარსი სხვათა შორის. ამ გაგებას ფუტურისტები სინამდვილეში, თავის პრაქტიკაში ხმარობენ (იხილეთ მათი შემოქმედება: ზოკუთა და პროზა). თეორიაში მათ კიდევ აქვთ მეორე გაგება.

„ლიტერატურა და სხვა“-ში ბ. ჯღენტი სწერს: „ფორმა და შინაარსი ორი განუკვეთელი ელემენტია შემოქმედებისა, ისე უსაზღვროთ გადასული ერთი მეორეში, რომ დაკარგულია მათ შორის შეხედრის და განსაზღვრის წერტილი. რადგან აფორმალური ანაფერია, ხოლო რაიმე ფორმალი კომპინიცია უშინაარსოთ არც კი წარმოიადგინება“.

*) ამონაწერებში ხაზგასმა და მატლერა იტორისაა.

კოეუნარები.

* *

წითელ ქარხნის წითელი მწკრივი, ამშვენებს მუშურს და შრომის მხარეს მათი ისედაც ძლევის სიმღერა და ჟრიაშული აღვიძებს არეს.

ღროშა მდღარი სისხლში ნაწრთობი რევოლუციის მტკიცე გულშია. ისე ტრიალებს როგორც ნიავი, ხან მოქანსული და ხან კი შმაგი.

ალარ შედრკებით. უნდა დაინგრეს დახანებული მტარელთა ბუდე არ შეგჩრდებით, თუ კი არ დაესწვით, ცეცხლით მახვილით არ გადაებუტეთ.

მაგრამ ქარხნების, წითელი მწკრივი ვხედავ ამშვენებს ჩვენს მუშურ მხარეს და მესმის თანაც მათი ხმაური როგორ აღვიძებს და ატკობს არეს.

გოგი ნოღაღი.

ინსცენიროვკა საშეფო სოფელში დასადგმელათ. სცენაზე შემოდან ჯერ კასიანე ხელში ქალაღზე დახატულ ცხენით, შემდეგ ემელიანე ისევე დახატულ კავსახნისით ხელში, ბოლოს პეტრე თესლიან ტომართით. იმღერიან „მიოცავს“-ის ხმაზე.

კასიანე. (შემოდის) არც ქონება, სახლის ბენი, ამერია ქკუა-თავი.

ემელიანე. (შემოდის) ემელიანეს დარღები მაქეს დამეკრიფა გულს ხელები: კავსახნისი თუმცა კი მაქეს, არც თესლი მაქეს არც ხარები.

პეტრე. (შემოდის) თავს ვიწყველი, ძმებო, პეტრე, რა კაცი ვარ, რის მაქნისი!? თესლი მაქეს. არ მახადია ხარები და კავ-სახნისი.

კასიანე შეხვდა პეტრეს (ხელს ართმევს)

შეუერთდა ემელიანეც

შეუქმნველად გაიმართა მუსაიფი ენაწყლიანი.

საშინელი ღრო დაგვიღდა!

ჯავრისგან გული მიკვდება!

დაძმობილდეთ, ძმებო, ქირსაც ერთობის შეეშინდება!

რაც ცალცალკე გექონდა ტყვილით, ერთად მოუყარეთ თავი.

კომუნა გვაქეს, კომუნაში არის თესლი, ხარი, კავი.

ხნავს პეტრე და კასიანე

და მათთან ძმად შენაფიცი

ჩაქუჩს ურტყამს ემელიანე, ერთობის სახლს აგებს მტკიცეთ.

შრომა ჯადვას აღარა გავს, ყველა გვიცქერს პირმცინარეს

გამარჯვება ძმებო თქვენი!

გაუმარჯოს კომუნარებს!

პეტრე კასიანე ემელიანე სამივე ერთად ხმა ხალხიდან ხალხი

ღმინა ბაღნი.



ახალ ძალეზის გამოფენა.

აქარისტანი ისე, როგორც საქართველოს ყოველი კუთხე მდიდარია შემოქმედებითი ძალებით. თუ აქამდე ქართულ ლიტერატურაში აქარელი მწერალი არ სჩანს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქარისტანი ყველასაგან მივიწყებული კუთხე იყო. ყველაზე ნაკლებათ აქარისტანის მცხოვრებთათვის ლიტერატურის ასპარეზი იყო გახსნილი. ეს საკითხი აქიმდიც მოუღვარებელია. ბათონში ჟურნალი არ იყო აღმდენხანს. თბილისი კი შორს არის. ესეც არ იყოს ძნელია ახალგაზღვისათვის ჯურნალში შესვლა. აღბათ ყველას მჯავსენება ერთი ებიზოდი რუსეთის გამოჩენილ მწერლის ლ. ტოლსტოის ცხოვრებიდან.

ლ. ტოლსტოის ერთმა ახალგაზდა ავტორმა მიუტანა საკმაოდ კარგი მოთხრობა, რომელიც ტოლსტოის მოეწონა.

— რათ არ ბეჭდაეთ — კითხა ტოლსტომ: — არ დამიბეჭდეს. არავინ მიცნობს.

ტოლსტოის გაუკვირდა: ნუ თუ რედაქციისათვის მნიშვნელობა აქვს სახელს და არა თვით ნაწარმოებს.

მეორე დღეს ტოლსტომ ერთი გაზეთის რედაქტორს გაუგზავნა თავისი ნაწარმოები. მაგრამ სხვა გვარი მოაწერა.

ნაწარმოები უკანვე დაუბრუნეს — არ ვარგაო. როცა ტოლსტომ აცნობა რედაქციის ავტორის ვინაობა, ნაწარმოები სიამოვნებით დაბეჭდეს და ბოღნიშიც მოხადეს.

ასეთი მდგომარეობა ეხლაც არის. ახალგაზღვისათვის ხშირათ ძნელია ჟურნალში შესვლა. თუ სათანადო წრესთან ნაცნობობა არ აქვს. განსაკუთრებით ეს ძნელია პროვინციისთვის, რომელიც ცენტრს დაშორებულია. ამიტომ ჩვენი ჟურნალის რედაქციამ გადასწყვიტა შექმნეი ნომერიდან შემოიღოს სპეციალური განყოფილება „ახალ ძალეზის გამოფენა“, სადაც მოთავსებული იქნება ახალგაზღვის. საზოგადოებისათვის შეიძლება სრულიად უცნობი ავტორების ნაწარმოებები. შეიძლება ბევრი ამ განყოფილებაში მოთავსებულთაგანი უნიკო და უშედეგო დარჩეს, მაგრამ რედაქციას სჯერა, რომ აქარისტანში ბევრი ხალასი ნიჭი აღმოჩნდება, რომ ჩვენი ჟურნალი ბევრს გაუკავდეს ლიტერატურულ კარიერის ძნელ დასაწყისს. ხოლო აქარისტანში, რომ ბლომით არიან პოეტური ნიჭით დაჯილდოვებულნი, ამას მოწმობს მდიდარი სახალხო პოეზია.

რედაქცია განყოფილებაში „ახალ ძალეზის გამოფენა“ ყველას ნაწერებს მოათავსებს თუ კი ნაწარმოები რაიმე მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს.

კაღაპაძი.

აქ შინაარსი თუ ფორმაზე ზევით არ არის დაყენებული, იმავე ღირებულებათ შინაც არის ცნობილი.

ამ როგათ ფუტურისტებს ამ საკითხშიც, ისე როგორც თვით ხელოვნების გაგებაშიც, ორი შეხედულება აქვთ.

ხელოვნების ამ გაგებას და მთლიანად თავის მსოფლმხედველობას ფუტურისტები სთვლიან არა მარტო რევოლუციონურათ, არამედ მათი თქმით იგი არის „სრული ზოღიარული კომუნისტურ სასკლამპოფის სტრუქტურის“ (ს. ჩიქოვანი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ წერილის დანიშნუბათ

შეძლების და გვართ გვიჩვენოს ამ ჯგუფის ფიზიონომია, მისი მსოფლმხედველობა უმთავრეს საკითხებში. ამიტომ ამ წერილს ამით ვათავებთ. რაც შეეხება აქედგან გამომდინარე საკითხს: რამდენათ მისაღებია ჩვენთვის H₂SO₄ ჯგუფის მსოფლმხედველობა, რამდენად არის იგი რევოლუციონური და კომუნისტური, ან როგორ ახორციელებენ ხელოვნების „ახალ“ გაგებას პრაქტიკაში. რა განძი შემოიტანეს მათ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, — ამის შესახებ რედაქცია მოათავსებს მორიგ ნომერში ვრცელ წერილს.

მომოხილვაზე

496

„ვეფხვის ტყაოსნის“ ლაცვისათვის.

რვა საუკუნეა დგას „ვეფხვის ტყაოსანი“ გამოუცნობ სფინქსათ. დღიდან ამ პოემის დაწერისა ერთი წამითაც არ შესუსტებულა მისი ინტერესი. რაც დრო გადიოდა მით უფრო სცილდებოდა მისა და მისი ავტორის შესახებ ცნობები სინამდვილეს და, როგორც ყველაფერი ჰენიალური, ზღაპრებსა და მითებს ქმნიდა თავის გარშემო. ათასი თქმულება, ათასი ჰიპოტეზა იმის შესახებ ვინ იყო შოთა და როგორ დასწერა „ვეფხვის ტყაოსანი“. რამდენი მეცნიერი იყო ჩმდენი აზრი არსებობდა და დღესაც არსებობს. ყველას თავისებური მიდგომა და ყველა ცდილობდა დემტკიცებია თავის პოზიციის უპირატესობა. მაგრამ სანამ დავა შევხებოდა თვით რუსთველს, მის ენაობას, წარმოშობას და სხვა ასეთ საკითხებს, „ვეფხვის ტყაოსნის“ მკითხველთა, მოყვარულთა ფართე მასა გულდამშვიდებით ადევნებდა თვალყურს დავას. და მართლაც! განასულ ერთი არ არის ტყაოსანი?! ჩვენ ვიცით, რომ არსებობს „ვეფხვის ტყაოსანი“ ჰენიალური პოემა ქართულ ენაზე. ჩვენთვის ეს საკმარისია. თუ გამოირკვევა შოთას ვინაობა—კარგი. თუ არა და პოემის ღირებულება ამით არ დამცირდება.

მაგრამ როცა დავა შევხვით თვით პოემას, როცა დაუწყეს მის ტანებებს ცარცვა-გლეჯა, მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ჯერ კიდევ გიშნაზიაში მაშფოთებდა პირადათ მე ასეთი განაწილება: ეს ტაეები რუსთველისაა, ეს კი არა. მაშინაც კი, როცა ჩემი ესთეტიკური გემოვნება არ იყო განვითარებული საკმაოთ, მაშინაც მაკვირვებდა ასეთი დაშლა, პარაბაროსული ქირურგია. მაშინდელ ჩვენი მასწავლებლისთვის „ვეფხვის ტყაოსნის“ და საერთოდ ქართული მწერლობის კარგად მცოდნე პატივეცემულ ვ. ბერიძისათვის არა ერთხელ მიკითხავს: რით არის „უქანოთ“ ცნობილი ტაეები დანარჩენზე ცუდი?!

„ვეფხვის ტყაოსანი“ დიდი ხანია ელოდა ჩვენში მის მთლიანობის დამკველს, მის უმანკოების აღმდგენელს. ამ

მხრით დიდის სიამოვნებით ვეგებებით კონსტანტინე ქიქინაძის „ალიტერაცია და „ვეფხვის ტყაოსნის“ პრობლემა“-ს.

პატივეცემულ ქიქინაძეს ერთობ ორიგინალური მიდგომა აქვს. ჩვენ არ ვღაობთ იმაზე, რომ ალიტერაციით შეიძლება აღეს ამ პრობლემის გადაჭრა. რასაკვირველია სრულიად სამართლიანია კ. ქიქინაძის თქმა; „არამც და არამც პოეტი შემოქმედების პროცესის დროს ალიტერაციაზე არ ფიქრობს“. ალიტერაცია ბუნებრივი ხერხია, მას მგოსნის ინტუიტიური მუსიკალობის ნიჭი ქმნის, და ყოველად დაუშვებელია იმის წარმოდგენა, რომ „ვეფხვის ტყაოსნის“ გადამწერლებმა ისეთივე ალიტერაცია მოგვეცეს „უქანოთ“ ტაეებში, როგორც თვით ავტორმა. (თუ ეს ასეა გადამწერლებიც შოთაზე ნაკლები პოეტები არ ყოფილან და მათ „ჩამატებას“ პოემისათვის არაფერი დაუკლია პოემა მაინც მთლიანია). კ. ქიქინაძემ კი დაამტკიცა, რომ „ვეფხვის ტყაოსანში“ ერთგვარი ძლიერებით არის გატარებული ალიტერაცია. თანხმობანთა რიცხვის კოეფიციენტი ყველა ტაეებში ერთგვარია, გინდა თავიდან დაიწყე, გინდა ბოლოდან, გინდა შეიდან ამორჩევით.

ვიმეორებ: შეიძლება ალიტერაცია არ იყოს საკმაო ამ პრობლემის გადასაჭრელათ, მაგრამ აქ უმთავრესია ახალი მიდგომა: პოემის მთლიანობის პრობლემის გადაჭრა პოემის ნაწილებს საერთო სულთან, საერთო სახესთან შედარებით. ეს გზა უთუოდ ყველაზე სწორი და სამართლიანია.

კ. ქიქინაძის შრომამ ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა „ვეფხვის ტყაოსნის“ მეკლევართა შორის. იგი აუცილებლათ დიდ გავლენას იქონიებს „ვეფხვის ტყაოსნის“ დაუფიქრებელ ქირურგებზე, რომლებიც ასე ადვილათ ასცლიან პოემას საუკეთესო მარგალიტებს. „ვეფხვის ტყაოსნის“ მოყვარულნი აღფრთოვანებით ხედებიან კ. ქიქინაძის ნაშრომს.

ბ. გ.

ასალი ლიტერატურაში

საპარტიზმო.

„დროული“.

გამოვიდა ქართველ ფუტურისტების გაზეთი „დროული“. ბათოში ჯერ მხოლოდ პირველი ნომერი ჩამოვიდა. გაზეთი, როგორც წერილებით ისე პოეზიით ფუტურისტების ძველი ათასჯერ გადაღეკილ უნიკო ეონგლიორობის გაგძელებაა. სამწუხაროთ, „დროული“ დავიანებით ენახეთ; წერილი ფუტურისტების შესახებ უკვე აწყობილი იყო. შემდეგ ნომერში უფრო დაწვრილებით შევხებით ამ ახალგაზრდებს, რომლებსაც მათივე სიტყვით, რომ ესთქვათ „კიდევ შერჩენია სინდისი უთავბოლო წერისათვის“.

„დროისა“.

„დროისა“ გამოვიდა, როგორც „კომუნისტის“ დამატება. არსებითად „კომუნისტს“ მიუღია. მხოლოდ სახელწოდება („ჩირალდნის“ შავიერ); შინაარსი ძველია—ჩირალდნისებური. № 1—2 მიძღენილია ცხრას ხუთის იუმბილესათვის. უმთავრესათ მოგონებებია შავ და ლექსები 1905 წელზე. არის ს. შანაიაშვილის ლექსიც, რომელიც ავტორის გაკოტრების უქანასკნელ საფეხურს წარმოადგენს. ასეთს ყველა არაპოეტი დასწერს. საერთოდ ჟურნალი ერთობ არა მხატვრულია. რე-

დაქტია ეტყობა ხარჯებს არ მორიდებია, კლიშეები დაუმზადებია, მაგრამ სამწუხაროთ სურათები „სტოტა“ გაურკვეველათ მოსჩანს. კიდევ კარგი წარწერები აქვს ქვეშ.

—ელი.

„დროიალი“.

„დროიალი“ გამოვიდა როგორც მნათობის აღმანახი, დამატება. ენახეთ მხოლოდ პირველი ნომერი. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. წიგნი შესდგება 4 განყოფ.: პოეზია, პროზა, კრიტიკა და თარგმნილი ლიტერატურა. ლექსებში ყურადღებას იპყრობს ვ. ჟურელის, კ. კალაძის, კ. ლორთქიფანიძის და სხ. ლექსები. ამ განყოფილებაში მოთავსებულია ფუტურისტების ჩანავას და ჩიქოვანის ლექსები, რომლებიც მათი თეორიების (იხილეთ გაზ. „დროული“ და სხ.) სასტიკი წინამძღვრობაა. ალბათ მიხედენ „ტორუას“ დამავარ უაზრო მიმზამველობის უსაფუძვლობას.

წიგნში ერთობ ძლიერია პროზის ნაწილი. საინტერესო ნიჭიერათ დაწერილია კ. ლორთქიფანიძის „სანაპირო“ და დემნა შენგელაიას „გურამ ბარამანდია“. სიამოვნებით იკითხება. ეს კი დიდი მიღწევაა.

რასაკვირველია მთელი აღმანახი ძიებია. ძიებია ფორმის, სტილის, თემის და სხ. აქ თავმოყრილია უმთავრესად ასალგაზნობა, რომელიც მიუხედავათ რომდღლის მტკიცებისა, ჯერ სრულიად გაურკვეველია, მოუშფიფებელი.

მეთევზეობა—მონადირეობის საქმე

მეთევზეობა და ნადირობა სახალხო მეურნეობის ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს აჭარისტანში. ერთის მხრით მიწის ნაკლებლობა და მეორეს მხრით სათევზაო ადგილების სიმრავლე საუკეთესო პირობებს ქმნის ამ მეურნეობის განსავითარებლათ. სამწუხაროთ ამდენს ეს საქმე უყურადღებოთ იყო დატოვებული. მართალია ბათუმში არსებობდა მონადირეთა კავშირი („სოხგურუხის“ ბათუმის განყოფილება)—მაგრამ ამ კავშირში უმთავრესად შედიოდნენ ისეთი მონადირეები, რომლებიც ნადირობას უტკერდნენ როგორც სპორტს-გართობას და არა სამრეწველო მეურნეობას, რომელიც მცხოვრებთა ღარიბ ბიუჯეტს საგრძნობ შემოსავალს მისცემს.

არც მეთევზეობის საქმე იყო კარგათ დაყენებული. არსებობდა მეთევზეთა არტელი, რომელშიაც შედიოდნენ მრეწველი მეთევზეები. არტელის საქმე ვერ იყო კარგათ მოწყობილი. იმავე დროს ამ ორ ორგანიზაციას ბევრი რამ საერთო აქვთ. მეთევზეს სჭირდება თოფი (დელფინებზე სანადიროთ), ამიტომ იგი იძულებული იყო ჩაწერილიყო მონადირეთა კავშირში და ორგან ეხადა საწევრო გადასახადი.

საჭირო იყო ისეთი ორგანიზაციის მოწყობა, რომელიც გაერთიანებდა ამ ორ დარგს—მონადირეობას და მრეწველობას; მისცემდა მას სამრეწველო ხასიათს და კერძო პირებს გამოაცლიდა ხელიდან თევზის მრეწველობის საქმეს.

ამ მიზნით დაარსდა აჭარისტანში მეთევზეთა და მონადირეთა კოოპერატიული სამრეწველო კავშირი „აქკამონთევზ“— „АДСУР“.

ახალ ორგანიზაციის წესდება საშვალეპას აძლევს მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილს იყოს კავშირის წევრათ და ისარგებლოს ყველა პრივილეგიებით. ამ მოსაზრებით საწევრო გადასახადი ერთობ შემცირებულია—თევზი 50 კაპ. წინეთ კი მეთევზეები იხდიდნენ წელიწადში 12 მან., ხოლო მონადირეები—15 მან.

კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეთევზეობას, რადგან ზღვის სიახლოვე საუკეთესო პირობებს ქმნის ამ მეურნეობის გასაძლიერებლათ. უკვე დადებულია ხელშეკრულება მიწსახკომთან. რომლიდანაც საკმაოთ ხელსაყრელ პირობებში კავშირმა მიიღო აჭარისტანის სათევზაო ადგილების ექსპლუატაციის მონოპოლური უფლება. თუ რამდენად გაუმჯობესდა შშ.რომელ მეთევზეთა მდგომარეობა მოსხანს შემდეგიდან. წინეთ მეთევზეები იხდიდნენ დაქვრილ თევზის 15—20

%, როგორც იჯარას. ეხლა კავშირი მათ ახდევინებს დაქვრილ თევზის მხოლოდ 10%. მოსალოდნელია ეს ანარიცხი შემცირდეს 5%-მდე. ასე რომ თუ წინეთ მეთევზე იხდიდა 10 მანეთიდან ვიდრე 100—200 მან. წელიწადში, ეხლა იმის ნახევარს იხდის.

ამის გარდა კავშირმა მოაწყო მეთევზეთა სახლი (შმიდტის ქ. № 40), სადაც ღამე თევზაობის დროს დასვენებულ მეთევზეს შეუძლია დაისვენოს და გაშრეს ცეცხლთან.

კავშირის საქმიანობა უკანასკნელ თვეებში საგრძნობლათ გაფართოვდა. კავშირის წევრთა შორის სწარმოებს კულტურული მუშაობა. ეწყობა მონადირეთა და მეთევზეთა კლუბი. ახალ ბინაზე მოწყობილია კავშირის ვამპეკობა და განმანწილებელი პუნქტი, სადაც კავშირის წევრებს შეუძლია შეიძინონ საჭირო ხელსაწყო და მასალები.

ახლო მომავალში კავშირის განზრახული აქვს მოაწყოს გარდა კლუბისა სპეციალური წიგნთსაცავი, ტირა, სცენდი, მონადირე ძაღლების სანაშენო (პიტომნიკი), ცხოველების და ფრინველთა ტყავების გაშრობა („ჩუჩელების“ დამზადება) და სხვ.

აქ განსაკუთრებით ზუნდა მიექცეს ყურადღება „ახალგაზდა მონადირეთა სექციის“ შექმნას. ეს ამოცანა კავშირს აქვს თავის საპრესპექტივო გეგმაში შეტანილი. საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში პიონერ-მონადირეებს ძლიერი კავშირები აქვთ. კომკავშირთან შეთანხმებით ეს საკითხი უნდა მოაწესრიგოს „აქკამონთევზმა“.

დასასრულ უნდა აღინიშნოთ, რომ მონადირეებისა და მეთევზეობის საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია. საკავშირო ცაკის სათანადო დადგენილებაში სწერია, რომ გარეული ცხოველები, ფრინველები და თევზები, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე (ხმელეთზე და წყლებში) წარმოადგენენ რესპუბლიკის საკუთრებას და მათი სწორი მოხმარება, ექსპლუატაცია სახალხო მეურნეობის ერთი მთავარი დარგია. ამ დადგენილებაში უკვე გარკვევით არის აღნიშნული მონადირეობისა და მეთევზეობის მნიშვნელობა. თუ „აქკამონთავზი“ ისეთივე ენერგიით განაგრძობს საქმეს, როგორითაც დიწყყო, დიდ სარგებლობას მოუტანს აჭარისტანის სახალხო მეურნეობას.

მონადირე.

აღმანახის გამოცემის იდეა ერთობ მოსაწონია. ქართულ ლიტერატურას ემატება ახალი რაზმები, რომლებსაც უნდა მიეცეს ასპარეზი, ვასავალი.

მ — ველი.

„ხელოვნება“ № 23—24.

ორი იანვარი—ქართული თეატრის დაარსების ოციწლიანი თარიღია. თუმცა ქართული თეატრის დაარსების დრო სადგოა (მეცნიერები 1791 წელს და კიდევ უფრო ადრე ეძებენ ამ თარიღს), მაგრამ ქართული თეატრი მაინც ძველი ტრადიციით მიდის და წელს ისე, როგორც შარშან ორი იანვარი იღლესასწაულა. „ხელოვნება“ №23—24 ამ დღისათვის სპეციალურად გამოიკა. ნომერი კარგათ არის შედგენილი. მიღღრათ არის დასურათებული ქართველ მასხიობთა და ქართული სათეატრო—სამუსიკო საქმის მოღვაწეთა ბორტრეტებით. საინტერესოა წერილები ი. გედევანიშვილის: „ქართული თეატრის სატიკვარი“, დროულია თომას ბორელის წერილი ქართული ბალეტის პრობლემის წამოყენების შესახებ.

ნომერი საინტერესოა იმითაც რომ ვასულ წელსავით პროვინციის თეატრებიც არ არის დაფიწყებული და ამხანაგები, რომლებიც ყველაზე ძნელ პირობებში მუშაობენ, რომელთა შესახებ ვაზეთის ქრონიკაშიც ვერ ნახათ შენიშვნას, ერთგვარ პატივით არიან მოხსენებული კურნალში.

არ შეიძლება ნაკლათ არ ჩაუთვალოთ „ხელოვნებას“ ქართული კინოსადმი მცირე ყურადღება. მართალია ორი იანვარი ქართული კინოს დაარსების დღე არ არის, მაგრამ იგი არც ქართული მუსიკის და ქართული ბალეტის დაარსების დღეა (არც ქართული თეატრის!). და ეს როდია უმთავრესი. საქმე იმაშია, რომ ქართულ სასცენო ხელოვნებას წელიწადში ქონდეს ერთი სპეციალური დღე, რომ ამ დღეს ჯამი გაუკეთოთ ნამუშევარს და ვიფიქროთ ახალ გეგმებზე. ამ დღეს არ უნდა გამოგვრჩეს არც კინო, რომელიც ასე მძლავრათ შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. მართალია კურნალში მოთავსებულია წერილი კინო მრეწველობაზე და „ვენ არის დანაშაუვის“, სარეკლამო სურათი, მაგრამ ეს ცოტაა. ქართულმა კინომ წარმოუვა ქართული კინო მსახიობები, ნატა ვანჩაძე, კლ. ჯაში, კ. მიქაბერიძე და სხვებით საქართველოს თამამათ

შეუძლია იამაყოს. არც რეჟ. პერესტიანს, ამხ. გ. გოგტიძეს, შ. ბერიშვილს და მათ თანამომუშავეთ მიუძღვით ნაქლები დამსახურება. კინოს დავიწყება ჟურნალის ნაკლია.

ტეხნიკურათ ჟურნალი კარგათ არის გამოცემული. მხოლოდ ნ! გვ. ნ. ლორთქიფანიძის მასალა არეულია.

ნარი.

რუსეთი.

ვლ. მსაჯავაძე.

რუსეთის ცნობილმა ფუტურისტ პოეტმა ვლ. მაიაკოვსკიმ, რომელიც ეხლახან დაბრუნდა მექსიკაში მოგზაურობიდან, დასწერა დიდი რომანი პროზათ. რომანს ბეჭდავს მოსკოვის სახელგამო.

ბ. სავინკოვი.

ბორის სავინკოვის უკანასკნელი ნაწერები გამოდის ცალკე წიგნათ („ოგონიოკის“ გამოცემით). ამ წიგნში სხვათაშორის მოთავსებული იქნება ვიკტორ ჩერნოვის დახასიათება, რომელიც სავინკოვმა დასწერა რამოდენიმე დღით ადრე ვიდრე თავს მოიკლავდა.

ვეგ. ონეგინი — დეკაბრისტა.

მოსკოვის ჟურნალ „ოგონიოკში“ (1926 წლის იანვრის პირველი ნომერი) მოთავსებულია საინტერესო წერილი: „ვეგენი ონეგინი — დეკაბრისტი“. უკანასკნელ გამოკვლევების მიხედვით პუშკინს აზრათ ქონდა ერთ თავში, რომელიც შემდეგ გამოსტოვა, ვეგ. ონეგინი გამოეყვანა დეკაბრისტათ, თავისუფლების თავგანწირულ მებრძოლათ.

ანრი ბარბიუსი რუსულათ.

საფრანგეთის გამოჩენილ მწერალ ანრი ბარბიუსი მოლაპარაკებას აწარმოებს, რომ მისი ახალი რომანი, რომელსაც ეხლა სწერს, გამოიცეს რუსულათ.

ანატოლ ფრანსის.

მოსკოვში იბეჭდება რუსულათ წიგნაკი: „ანატოლ ფრანსის უკანასკნელი ფურცლები“. ამ წიგნში მოცემულია საინტერესო მასალები იმის შესახებ თუ როგორ უყურებდა გამოჩენილი ფრანგი მწერალი რევოლუციას, პროგრესს და სხვა თანამედროვე საკითხებს.

მაქსიმ გორკი.

მაქსიმ გორკიმ დაასრულა დიდი რომანი, რომელზედაც მუშაობს უკანასკნელი 1 1/2 წელი.

ილია ერენსურკი.

„ხულიო ხურენიტოს“, „13 ჩიბუხის“ და სხ. ავტორი, ცნობილი რუსი მწერალი ილია ერენსურკი, რომელიც უკანასკნელ ხანებში პარიზში ცხოვრობდა მოკლე ხანში დაბრუნდება მოსკოვში.

„მსკრულები“.

ლენინგრადში გამოდის ახალი წიგნი „მწერლები“, რომელშიაც მოთავსებულია თინამედროვე მწერალთა 10 ავტობიოგრაფია და პორტრეტები.

უცხოეთი.

ტომას მანია.

შესრულდა ცნობილ რომანისტის ტომას მანის დაბადების 50 წლის თავი, რის აღსანიშნავათ ბერლინში გამოვიდა წიგნი: „არტურ ელდესტერის კრიტიკა ტომას მანის შესახებ“.

„ჯირითი დროის იქით“.

ცნობილმა გერმანელმა ფელეტონისტმა ეგონ ერვინ კიშმა გამოსცა საინტერესო წიგნი „ჯირითი დროის იქით“.

მ უ ს ტ ა ვ ა ქ ი მ ა ლ .



ოსმალეთის დიდ-ეროვნულ ყარაოღბის თავმჯდომარე, რომლის ხელმძღვანელობით ტარდება ყოფაცხოვრებითი რეფორმები, ოსმალეთის ევროპიზაცია.

რუსის მკერდეები ეკონსულ ქნახე.

ბერლინში გერმანულ ენაზე გამოვიდა ჟურნალ „რუსიზე რუნდშაუს“ № 2, რომელშიაც მოთავსებულია ბაბელის, ლინის, სობოლის და სხ. ნაწერები.

საბჭოთა ლიტერატურა ფრანკულათ.

საფრანგეთში საბჭოთა ლიტერატურის საპოპულიარიზაციოთ პარიზის ლიტერატურულ წრემ „ფილოზოფიმ“ გამოსცა ალმანახი, რომელშიაც მოთავსებულია რუსი მწერლების ნაწარმოებები.

„მეკამხაჟე ჩინეთი“.

გამოჩენილი ფრანგი ჟურნალისტი ალ. ლონდრი, „კაიენას“ და „საგუიეთის“ ავტორი ამაზადებს ახალ შრომას; „მეკამხაჟე ჩინეთი“.

პოლა ნეკრა კინასჟე.

გამოჩენილმა კინო მსახიობმა პოლა ნეკრამ გამოსცა წიგნი „ოცნება და სინამდვილე კინოში“.

ინტერესი ჩინეთისადმი.

დასავლეთში დიდ ინტერესს იწვევს ჩინეთი, რომელიც იბრძვის უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. გერმანიაში დიდი ინტერესით კითხულობენ დეტექტიურ მწერლის ნორბერტ ჟაკის რომანს „ვაჟარი შანხაიში“, რომელშიაც მოთხრობილია ახალგაზრდა გერმანელის თავგადასავალი ჩინეთში და გზა და გზა აწერილია ჩინეთის ცივილიზაციის თავისებურობა.

კოოპერატიული მუშაობა აჭარისტანში.

კოოპერატიულ საქმეს აჭარისტანში ხელმძღვანელობს აქარცეკავშირი, რომელიც წელიწადზე მეტია აწარმოებს მუშაობას როგორც ქალაქში (მუშუკოის საშენობით) ისე სოფლათ. უმთავრესი ყურადღება, რასაკვირველია მიქცეული იყო სოფელზე. ეს არც გასაკვირველია. რადგან აჭარისტანის სოფელი თითქმის სრულიად არ იცნობდა კოოპერატივს. მართალია აქარცეკავშირის დაარსებამდე მახრებში იყო კოოპერატივები, მაგრამ როგორც უბრალო ღუქები. ხალხი არ იყო ჩაბმული კოოპერატიულ მუშაობაში, რადგან არ არსებობდა კოოპერატიული საზოგადოებები. აქარცეკავშირის უმთავრესი

ყურადღება სწორეთ აქეთვე ყოფილიყო მიმართული: რაც შეიძლება მეტი გლეხობის ჩაბმა კოოპერატივებში. როდესაც აქარცეკავშირის საქმიანობის შეფასებას უღვებთ, აქედან სწორეთ უნდა დაიწყეთ.

როგორი მიღწევები აქვს ამ მხრით აქარცეკავშირს? სიაშოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ საქმაოდ დიდი მიღწევებია და მიუხედავად იმისა რომ აჭარისტანის სოფელი საქარტველოს სხვა კუთხეებზე უფრო ჩამორჩენილია, კოოპერატივში იგი მინც უფრო აქტიურათ არის ჩაბმული. ამ დებულების საილიუსტრაციოთ მოიყვანთ შემდეგ ცხრილს:

კოოპერატივები.	როდის დაარსდა	რამდენი ღუქანი აქვს	კოოპ. მოქმ. რაიონში		წევრთა რიცხვი 1 ოკტ. 1924 წ.		წევრთა რიცხვი 1 ოკტ. 1925 წ.		საპაიო თანხა 1 ოკტ. 1925 წ.
			რამდენა კომლია	რამდენი სული	კაცები	ქალები	კაცები	ქალები	
ქობულეთის ეპო	1 აგვ. 1923 წ.	6	3.750	18.090	382	5	1.450	22	1.840—50
ჩაქვის ეპო	1 დეკ. 1924 წ.	2	790	4.343	—	—	239	3	670—20
მახინჯაურის ეპო	12 დეკ. 1924 წ.	2	168	1.084	—	—	150	4	370—
ორთა-ბათომის ეპო	" "	4	560	2.941	—	—	375	7	740—90
აჭარის წყლის ეპო	1 დეკ. 1922 წ.	4	1.002	6.150	27	—	120	9	250—70
ქედის ეპო	" "	5	1.570	10.737	150	1	1.400	15	1.990—70
ხულოს ეპო	" "	8	4.580	23.960	275	—	1.330	11	1.880—
ჩაქვის მუშუკობი	15 თებ. 1923 წ.	4	—	2.250	103	4	275	14	580—
ბათომის მუშუკობი	23 ივლ. 1923 წ.	25	—	46.000	2.340	150	4.984	384	12.580—25
							10.399	469	20.903—06

ეს ცნობები ამოღებულია აქარცეკავშირის 1924—25 წლის დღიურ ანგარიშიდან. ამ ეამად წევრთა რიცხვი უფრო მეტია.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის რევიზიამ დაადასტურა, რომ აჭარისტანში კოოპერატივში შეკავშირებულია მცხოვრებთა 28⁰/₁₀₀, ხოლო საქარტველოში 22⁰/₁₀₀. ეს უკვე დიდი მიღწევაა. ესლა ვიკითხოთ: ამ წევრებს აძლევდა თუ არა რამეს ცეკავშირი?

ზემო აღნიშნულ რევიზიის ჩვენებით სამრეწველო საქონლით აქარცეკავშირი აკმაყოფილებდა კოოპერატივებს 75⁰/₁₀₀-ით. ამ წელიწადში მისი საერთო ბრუნვა უდრის 5.010.979—24 მან.

აქვე უნდა აღინიშნოთ, რომ სოფლის კოოპერატივები სარგებლობდნ ფაქტიურათ მუდმივი დია ანგარიშით. თუ მიქონდათ საქონელი თამასუქით, მის ბანკდან გამოყიდვაზე არ ზრუნავდნ. ამიტომ აქარცეკავშირს უხდებოდა არა მარტო თავისი არამედ ყველა ეპოების (ვარდა ბათომის მუშუკობისა) თამასუქების გამოყიდვა. თუ შეედევლობაში მივიღებთ იმ გამოგონებას რომ აქარცეკავშირმა მუშაობა დაიწყო უკაბიტალოთ

და საქონლის საბრუნავათ კრედიტით სარგებლობდა, ადვილი წარმოსადგენია თუ რა ძნელი მდგომარეობა იყო შექმნილი. მარტო ბანკის სარგებელია შეტანილი ერთ წელში 11.000 მანეთი, ხოლო საქონელზე დადებულ პროცენტები არ აღემატებოდა 12—13.000 მანეთს. აქ შედეგლობაში თუ მივიღებთ იმას, რომ სოფლის ეპოები დროზე ვერ ასწორებდნ ანგარიშს, საქონლის გაყიდვა გვიანდებოდა, რის გამო ხშირათ ფასების დაწევა იყო საჭირო, გასაკვირი არ არის, რომ აქარცეკავშირმა ზარალით დაასრულა წელიწადი. 1924—25 წლის ზარალი უდრის მს. 321—26 კ. ე. ი. საერთო ბრუნვის 1.1⁰/₁₀₀. სამაგიეროთ სოფლის ეპოებმა წელიწადი მოგებით დაასრულეს.

ასე რომ საანგარიშო 1924—25 წელში აქარცეკავშირმა, მიუხედავად ზარალისა, თავისი დანიშნულება შეასრულა: აჭარისტანი მოფინა კოოპერატივებით, ჩაბმა გლეხობა კოოპერატიულ ცხოვრებაში და მიაწოდა საქონელი. მომავალში მუშაობა უკვე ვაადილებულია.

კოოპერატორი.

ა. ა. ს. ს. რ.

აჭარსასხმედვაჭრობა

ბაროკის ქ. № 14.

მიღებულია დიდძალი მედიკამენტები რუსეთის და საზღვარ გაზეთ ფირმებიდან და საოჯახო საგნები, კირურგიული იარაღები, შესახვევი მასალა, თევზის ზეთი, საქარტველოს „სახმედვაჭრობის“ ლაბორატორიის პროდუქციები; ახალი საშუალებანი: სტიბენორი. ინსულინი. მიზონი, კოკოდილატი „კლინის“ 6—10⁰/₁₀₀-ნი, აბები, „კოვენის“, შპრციები. ნემსები და სხვა და სხვა.

გამგე: 6. შ ი ვ ი ა ნ ი.



„**ადსორ**“
 „**აჭკამუნთევი**“
 „**მონადირეთა და მეთევზეთა**“
 „**კოპანურაბი**“
 „**სამრეწველო**“
 „**კავშირი**“

„აჭკამუნთევი“
მონადირეებო და მეთევზეებო!

შეიძლება თქვენთვის საჭირო იარაღები და მასალები კავშირის
განმანაწილებელ საწყოებში,

სადაც იშოვება მონადირეთათვის საჭირო თიხები და მასალები.

მაღალი ხარისხის იარაღების და მასალების განყოფილება.

ეწეობა სასპორტო განყოფილება, სადაც გაიყიდება ფიზკულ-
 ტურისათვის საჭირო ხელსაწყო.

გამგეობა და განმანაწილებელი საწყოები მოთავსებულია **რ. ლიუხმეგბურგის ქ. № 24, ტელ. 339.**

სახელმწიფო წარმოებათა და კოოპერატივთა კავშირების სახსრალეზოთ.

დამატებით განცხადებაზე ა. წ. 7 ოქტომბრიდან გაზეთ „ტრუდოვოი ბათომში“ და „ფუხარაში“ აჭარისტანის ფინრწმუნებული აცხადებს სახელმწიფო წარმოებათა და კოოპერატივთა კავშირების სახსრალეზოთ შემდეგს:

ყველა წარმოებანი და მათი გამგეობები, რომელნიც შედიან ანგარიშვალდებულ დაწესებულებებში, გარდა ისეთებისა, რომელნიც აღმოცენდენ ა. წ. 1 ოქტომბრის შემდეგ, მიმდინარე საბიუჯეტო 1925-ს წლის 1 ნახევარში, როგორც გამონაკლისი, ისლიან ავანსის სახით სავაჭრო პატენტების ძირითად ღირებულებაზე 600 % დამატების მაგიერ 300 % იმ ვადებში, რომელიც იყო დაწესებული, ნაჩვენებ დამატებებს ისლიან მიუხედავად იმისა იბეგრებიან ისინი ბათომში თუ თავის გამგეობის ადგილმდებარეობის მიხედვით.

ტრესტები (მათ შორის კომბინატებიც) და სააქციონერო საზოგადოებები, რომლებიც ისახევენ მიზნათ, თანახმად მათი წესდებისა, სამრეწველო დარგების ექსპლუატაციას თავიანთი სავაჭრო განყოფილებებით იბეგრებიან სათანაბრო გადასახალით იქ, სადაც იპოფება მათი გამგეობები. სინდიკატები, სააქციონერო საზოგადოებანი, ბანკები, საურთიერეთო ნდობის საზოგადოებები და ყველა სხვა გაერთიანებანი და წარმოებანი სავაჭრო ხასიათისა დაიბეგრებიან ბათომში მათი ბრუნვის მიხედვით. დასაბეგრ ბრუნვით ჩაითვლება საერთო ჯამი ბრუნვისა როგორც გამგეობის, ისე განყოფილებების, როგორც თავის ნაწარმოების, აგრეთვე სხვისი საქონლის გაყიდვისაგან ნაღდ ფულად და ნისიათ. საქონლის გადაცემა გამგეობების შიგნით, აგრეთვე გამგეობათა და მის განყოფილებათა შორის, საბაჟო გადასახალი, აქციზი და საქველმოქმედლოთ გაცემული თანხები დასაბეგრ ბრუნვაში არ შედიან. სინდიკატის მიერ ტრესტის საქონლის გაყიდვის დროს ტრესტის დასაბეგრ თანხათ ჩაითვლება ის თანხა, რომელიც მღებული იქნება სინდიკატისაგან გადაცემულ საქონლის ფასში, სინდიკატის ბრუნვით ჩაითვლება ის განსხვავება, რომელიც მღებულ იქნება ტრესტის საქონლის ღირებულების გამოკლებით გაყიდულ საქონლის ფასთან. ანგარიშები ზევით ნაჩვენებ წარმოებებმა უნდა წარმოადგინონ წლის პირველ ნახევრის—I იანვრისათვის, წლის მეორე ნახევრის—I ივნისისათვის.

ფინრწმუნებული ხალკვაში.

საგადასახლო განყოფილ. მმართველი ჯ.ო.რ.ბ.ნ.ა.პ.

პირდ. გ.დ. ქვე-განყ. გამგე კაქალიძე.

საქმეთა მმართველი აბაზასოვი.

ТРЕБУЙТЕ ВСЕ ЛУЧШЕ МЫЛО

АЙБЕТ

МЫЛОВАРЕННОГО ЗАВОДА

ДРЮТУН АЙТНИЯНО

Ул. Джапаридзе № 64.

ს. მ. უ. ს. ტრესტის სავაჭრო განყოფილება

აჭარისტანში.

კანტორა. ინტერნაც ქ. № 31, ტელ. № 118.

მაღაზია. სტალინის და ტროცკის ქუჩ. კუთხე ტ. № 330.

საწყოები. ქუთაისის ქ. № 190/193.

ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი.

ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტისა:

პაპიროსები, თამბაქო.

ს. მ. უ. ს. სპირტის და კონიაკის ტრესტისა:

არაყი, სპირტი, კონიაკი, ლიქიორები.

ს. მ. უ. ს. ზეთ-სახდელ საპნის ტრესტისა:

საპნები, ბამბა გიგროსკოპიული, ბამბა უბრალო, ნართები.

გაზეთ „კომუნისტი“-ს გათოების განყოფილება (მე-3-მე ინტერნაციონალ. ქუჩა, № 22 ტელ. № 328)

ამით აღიზღებენ უკუღმა სელისმომწერლების საქურხდლებათ, რამ

მიიღება — 1926 წლისათვის — ხელისმომწერა

საპარტოვლოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საპარტოვლოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოა

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტი“

გამოდის ყოველდღიურად ექვსი გვერდი, კვირალაით რვა გვერდი

1926 წ. განავლობაში „კომუნისტი“-ს ხელისმომწერათ დაურიგდებათ უმადები

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი“-ს ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატ. ჟურნალი დროშა იუმორისტული განყოფილებით.
2. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება „მეცნიერება და ტეხნიკა“.
3. ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ. კ. პარტია“.
4. ბ. გორევი — ტომას მორიდან ლენინამდე.
5. ე. ნინოშვილის მოთხრობები — ტომი მეორე, სახელგამის გამოცემა; 485 გვ. მდიდრად დასურათებული.

დამატებები უფასოდ განაწილდება

უფასოდ (თვითრიდან და „დროშა“ თვეში ორი ნომერ

სამი თვის ხელისმომწერას, რომელსაც უნდა შემოიტანენ ზვედრ ფულს, მიეცემა:

- 1) ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული“
- 2) „დროშა“ თვეში ორი ნომერი
- 3) „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვე

ერთი წლის ხელისმომწერი:

1. განაბე ნინოშვილი
2. „მეცნიერება და“
3. „დროშა“ თვე



მუშა-მოსამსახურეებისათვის, გ

- | |
|--------|
| 1 თვით |
| 2 თვით |
| 3 თვით |


უკუღმა დანარჩ.

საბჭოთა კავშირის სხვა

კუთხეებში გაგზავნით

1 თვე 1 მ. 50 კ.

3 თვით	4 თვით	5 თვით	6 თვით	1 წლით
30 კაპ.	40 კაპ.	50-60 კაპ.	70-80 კაპ.	14-50 კაპ.



Handwritten notes and signatures in Georgian script, including names like 'სეზენიძე' and 'სეზენიძე'.

6 ,, - 8 დოლარ ნაბეფაო.

„ატარინკოპი“

ატარინსტანის ინვალიდთა კოოპერატივების უნაერთი
აერთიანებს ქალაქის უველა მნიშვნელოვან უბნების ინვალიდთა საწარმოვო არტელებს:

კაკიროსის ქალაქის დაფაფალებელთა არტელი.

ფესსასმელების  ტანსასმელების
სამკერპლო.  სამკერპლო.

კურის მცხოვრებელთა არტელი.

ტროცკის ქუჩაზე № 25 გახსნილია

საბაზისო ვალაზია.

გახსნილია აზიური რესტორანი

„ვარსკლავი“

ბათუმის მუშათა კოოპერატივი

„მუშკოპი“

1924/25 წელში ბათუმის მუშათა კოოპერატივიმა საგრძნობლათ გააფართოვა მჭერაცემი ქსელები დაფარა სავაჭროების ქსელით.

წინეთ:	1924/25 წელში	
ლუქები ბრუნვა	ლუქები	ბრუნვა
საბაზო საბასტრონო		
8	288.700 ზ.	10 537.000 ზ.
მანუშაპარის		
1	102.000 ზ.	3 353.000 ზ.
სოცის		
—		3 196.000 ზ.
პარის		
6	123.000 ზ.	6 209.000 ზ.

მუშკოპის საერთო ბრუნვა უდრიდა 1924/25 წელში 1.739.000 მან. ე. ი. თვეში საშუალოთ 145.000 ზ. ანუ დღიური ბრუნვა—6.000. ეს ბათუმისათვის საკმაო საგრძნობია და უდრის ბათუმის ვაჭრობის საერთო ბრუნვის 50-60 %.

საქონლის შეძენა ხდებოდა უმთავრესათ საბ-ორგანოებიდან. შეძენილია 1924/25 წლებში.

სახელმწიფო ორგანოებიდან	80%
კოოპერატივებიდან	80.8%
კერძო ვაჭრებიდან	9.2%
ზედნადები ხარჯები უდრის	10.9%
ხელუასი	5.8%

კოოპერატივი წევრებს სისტემატურათ აწვდი-და საწარმოვო საქონელს.

განცხადება.

აჭარისტანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის უშუალო გამგებლობაში დაარსებული
გამომცემლობა „ფუნარა“.
ბათუმი, მე-3-მე ინტერნაციონალის ქ. № 18.

1. საკუთარი სტაფა

სტალინის ქ. № 5.

მიიღება შეკვეთები ყოველგვარ სახტამბო ხაზუშაოზე:
წიგნები, ბროშურები, შურნალები, აფიშები, ფურც-
ლები, ზღანაები, ხაპანცელარო წიგნები, ანბარიშ-
ბი, ხარჯთ-აღრიცხვები და სხვა...

2. საკუთარი გამოცემა:

ა) ქართულ ენაზე გაზეთი

„ფუნარა“

3. გამომცემლობასთან არსებობს „სარეკლამო ბიურო“, რომელიც ასრულებს:

- ა) ყოველგვარ მხატვრულ სამუშაოს: პლაკატები, ლოზუნგები, ბაირალები, წიგნების და ჟურნალების ყდები.
- ბ) დეკორაციები მთელი მოწყობილებით,
- ვ) აწყობს ქუჩებზე გაკვრას, ღარიგებას და დატარებას აფიშების, ფურცლების და პლაკატების,

სარეკლამო ბიუროს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლება და აგრეთვე სავაჭრო
გამონაღების აპრეზა აჭარისტანის ფარგლებში.

გამგე ს. მუშარაძე.

ბუხგალტერი სტარიცკი.

რედაქტორი ბრ. ნუცუბიძე.

პ. ვე

1926

12/11



ბჭარის სტანი

ახს. მამია ორაბელაშვილი
ა/კ. ტაქის სესიაზე მრეწველი.

№ 2
თებერვალი 1926 წ.
მ. ბათუმი.

გაზეთ „კომუნისტი“-ს გათქმის განცხადება (მე-3-მე ინტერნაც. ქუჩა, № 22 ტელ. № 328)

ამით აცხადებს უველა ხელმომწერლების საყურადღებოთ, რომ

მიიღება — 1926 წლისათვის — ხელისმომწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოა

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტი“

გამოდის ყოველდღიურად ექვსი გვერდი, კვირაობით რვა გვერდი

1926 წ. განმავლობაში „კომუნისტი“-ს ხელისმომწერათ დაურიგდებათ შემდეგი

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი“-ს ორკვირეული სამხატვრო-სალიტერ. ყურნალი დროშა იუმორისტული განყოფილებით.
2. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება „მეცნიერება და ტეხნიკა“.
3. ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ. კ. პარტია“.
4. ბ. გორევი — „ტომას მორიდან ლენინამდე“.
5. ე. ნინოშვილის მოთხრობები — ტომი მეორე, სახელგამის გამოცემა, 485 გვ. მდიდრად დასურათებული.

დამატებები უფასოდ განაწილდება

შ ვ მ ლ ა (თვიურიდან დაწყებული) ხელისმომწერლებს დაურიგდებათ უფასოთ:

„დროშა“ თვეში ორი ნომერი და „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორი ნომერი.

<p>სამი თვის ხელისმომწერლავს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს, მიეცემათ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ. კ. პარტია“ 2) „დროშა“ თვეში ორი ნომერი. 3) „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორი ნომერი. 	<p>ეკვსი თვის ხელისმომწერლავს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს, მიეცემათ</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ბ. გორევი — „ტომას მორიდან ლენინამდე“ 2) ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ. კ. პ.“ 3) „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორჯერ 4) „დროშა“ თვეში ორჯერ.
--	---

ერთი წლის ხელისმომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემათ:

1. ენაბამ ნინოშვილის მოთხრობები ტომი მე-2
2. „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორჯერ
3. „დროშა“ თვეში ორჯერ.

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეებისათვის, გლეხებისა, წითელარმიელების და მასწავლებლებისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით

1 თვით 90 კაპ.	ერთი წლით 10 მ. 50 კ.	4 თვით 3—50 კაპ.
2 თვით 1—70 კაპ.		5 თვით 4—50 კაპ.
3 თვით 2—60 კაპ.		6 თვით 5—40 კაპ.

უველა დანარჩენებისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით

საბჭოთა კავშირის სხვა	1 თვით 1—20 კაპ.	უცხოეთში
კუთხეებში გაგზავნით	2 თვით 2—30 კაპ.	
1 თვე 1 მ. 50 კ.	3 თვით 3—50 კაპ.	
	4 თვით 4—50 კაპ.	
	5 თვით 5—60 კაპ.	
	6 თვით 7—20 კაპ.	
	1 წლით 14—50 კაპ.	
	1 თვე — 1 დოლარ ნახევარი.	
	2 „ — 4 დოლარ ნახევარი.	
	6 „ — 8 დოლარ ნახევარი.	